ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 18 აგვისტო 2001 №156 (1429) | ფასი 50 თეთრი


# აქ იმიტომ ვარ, რომ გაგაბედნიეროთ!




პრემიერლიგა თითქოს იმიტომ არსებობს, რომ ფეხბურთში განცდებისა და სილაღის მძებნელ კაცს უთხრას თავშესაქცევ ადგილებში კლიენტებისთვის სათქმელი აუცილებელი სიტყვები: **I'M HERE TO MAKE YOU HAPPY.** აქ იმიტომ ვარ, რომ გაგაბედნიეროთ. დღეს კიდევ ერთხელ იწყება პრემიერლიგა. უყურეთ პრემიერლიგას.

იხილეთ მეშვიდე-მეათე გვერდები

# სამ დღეში თბილისის გარშემო

გუშინ დიდუბეში, „ექსპო ჯორჯიას“ საგამოფენო ცენტრის ტერიტორიიდან 19 ავტო დაიძრა. ამით დაიწყო საერთაშორისო რალი „შევრონ — რალი საქართველო 2001“, რომელიც პარასკევს, შაბათს და კვირას საქართველოს დედაქალაქს შემოუვლის. თბილისში არიან საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის, იგივეს ფია-ს წარმომადგენლები და თუ ღონისძიება მოიწონეს, იგი ტრადიციული გახდება და ევროპის ჩემპიონატის ეტაპადაც იქცევა. მანამდე კი ძლიერი რუსული, ბულგარული და ქართული ეკიპაჟები უკვე დაიძრნენ და სამ დღეს იქროლებენ...

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს უმაღლესი ლიგის 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 4 ტური

## მეოფა ცხადაძის ჯანი ჯანის?

## ინტრიგები. რეპეტიციები. პროგნოზები...

*საქმეს ისეთი პირი უჩანს, მეოთხე ტური გათამაშების ცხრილში ბევრ რამეს შეცვლის. ლიდერი კი ისევ, ალბათ, „ტორპედო" იქნება — ორგზის ჩემპიონს ეს არ უნდა გაუჭირდეს.*

*დანარჩენ შეხვედრებში მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი, ისეთი, პროგნოზებისთვის რომ უხერხულია. ბევრ გუნდს აქვს დასამტკიცებელი. მეცამეტე ეროვნული ისე დაიწყო, რომ ჯერჯერობით ყველა ტურში ხდება საინტერესო ამბები და არც მოულოდნელი შედეგების უკმარისობაა.*

*მეოთხე ტური იმითაცაა საინტერესო, რომ ეს გენერალური რეპეტიციის მაგვარია უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩებისთვის შემართული „ლოკომოტივისა" და „დინამოსთვის".*

### ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

**თბილისში:** 5 +3=2-0 **ბურთები:** 8:3
**სულ:** 9 +4=3-2 **ბურთები:** 11:8

არ შეჰფერის რკინიგზელთა გუნდს მე-8 ადგილზე ყოფნა. თუ პირველ ტურში „ტორპედოსთან" მარცხი გარკვეულწილად არბიტრის შეცდომითაც იყო განპირობებული, ფოთში ჯაბნობას მსაჯებს ველარ დააბრალებენ კახა ცხადაძის შეგირდები. დღეს კი „ვიტ ჯორჯიაა".

მასპინძლებს წინა ხაზში უჭირთ. მამუკა რუსია, ალეკო კაიდარაშვილი და დავით ჯანაშია ჯერაც არ არიან მზად სათამაშოდ. ცხადაძე იძულებული გახდა, გამოცდილი გოგიჩაიშვილი გაემწესებინა ცენტრფორვარდად, თუმც ამისგან „კოლხეთთან" მატჩში არაფერი გამოვიდა. გუნდს აშკარად აკლდა გამთამაშებელი გიორგი ანჩაბაძეც, ხოლო გელა ქორიძეს, ალბათ, ცოტა დრო სჭირდება, რათა ახალ გუნდს მოერგოს. რაც შეეხება დავით დათუაძეს, ის ბურთს კარგად კი იჭერს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ გუნდის თამაშის წარმართვა შეუძლია. ერთი სიტყვით, ცხადაძე რომ რაღაცას შეცვლის გუნდის წინა ხაზში, ნაღდია. სხვაგვარად, ვიტელთა დამარცხება ძალიან სათუოა.

დაცვაში „ლოკომოტივს" უკეთ აქვს საქმე. გამოცდილ ბალაშვილს, დავითნიძესა და ზაზა ლაცაბიძეს 19 წლის ლაშა სალუქვაძე კარგად უბამს მხარს. ფლანგებს, ალბათ, ისევე გილაური და ონიანი ჩაიბარებენ, საყრდენის პოზიციას კი დავით ჭიჭველიშვილს ვერავინ შეეცილება.

„ვიტ ჯორჯიაზეც" ვთქვათ. ვეტერინარებსაც შეუძლიათ, პირველ ტურში წაგება მსაჯს დააბრალონ, თუმც ეს ახლა რა მოსატანია. დღეს ერთობ პრინციპული მატჩია, ტურის ცენტრალური შეხვედრა. ვიტელებს ის უპირატესობა აქვთ, რომ გამორჩეული ლიდერები ჰყავთ და ისინი საკმაოდ კარგ ფორმაში არიან. „ვიტ ჯორჯიას" თამაშს ალეკო გოგობერიშვილი დირიჟორობს, შეტევათა დამაგვირგვინებელი კი, ცხადია, ლევან მელქაძეა. რკინიგზელები გიორგი ადამიასაც უნდა უფრთხოდნენ — მისი ფლანგური გარღვევები და ჩაწოდებები ძალიან სახიფათოა. ვიტელთა იტალიელ დამრიგებელს კატენაჩო მაინცდამაინც არ უყვარს, გახსნილ ფეხბურთს ათამაშებს გუნდს, რადგან შემადგენლობიდან გამომდინარე აქვს ამის საშუალება.

კახა ცხადაძეს რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს. „ლოკომოტივს" ახალი მწვრთნელის ხელში ამბიციური, ძლიერი მეტოქისთვის ჯერ არ მოუგია.

### დინამო — მეტალურგი

**ერთმანეთს არ შეხვედრიან**

ზესტაფონის „მეტალურგი" ერთადერთია მეცამეტე ეროვნულში, ქულაც რომ არ მოუპოვებია. ამ გუნდს ხეირიანი მინდორიც არ აქვს, ნორმალურად რომ ივარჯიშოს, ვერც შემადგენლობით მოიწონებს თავს. მხოლოდ და მხოლოდ ენთუზიაზმი — ვნახოთ, რარიგ ძლიერია ის მეტალურგთა კოლექტივში.

თბილისის „დინამოს" წინაალმდეგ თამაშის სინდრომი — ეს მცნება კვლავაც არსებობს და კარგი იქნება, თუ „მეტალურგი" შიშით კი არა, განსაკუთრებული შემართებით შეებრძოლება მეტოქეს. „დინამოსაც" ის უნდა, ბელარუსიაში წასვლამდე ღირსეულ სპარინგს გაეჯიბროს.

გივი ნოდიამ, როგორც იქნა, ერთჯერად ვარჯიშებზე გადაიყვანა „დინამო". ფეხბურთელებსაც ფსიქოლოგიური დასვენების საშუალებაც მიეცათ. აბა, როგორი საქმეა, შეკრებაზე, ჯერ ბაკურიანში და მერე გერმანიაში ყოველდღე ორ ან სამ ვარჯიშს ატარებდე, საკონტროლო მატჩებსაც, შინ დაბრუნების შემდეგ კი კვლავ ორჯერადი ვარჯიშები. კითხვის ნიშნის ქვეშ არავის რეპუტაციას არ ვაყენებთ, მაგრამ ფეხბურთელებს ფიზიკური და ნერვიული ენერგიის აღდგენისთვის საკმარისი დრო რომ უნდა ჰქონდეთ, ესეც ნაღდია.

არც იმას გაუვა წყალი, რომ თუ „დინამომ" წინა ტურში ბათუმში შერცხვენის შემდეგ დღეს დიდი ანგარიში ვერ მოიგო, სხვა შედეგი არადამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ „დინამოს" ქომაგი ძლიერ გაწბილდება, თუ გუნდი კვლავაც ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშებს. გივი ნოდიასთვის მთავარი ახლა ერთია — მოახერხეს და „ბატესთან" მატჩისთვის ფეხბურთელებს კარგი განწყობა შეუქმნას.

### სამგურალი — გორდა

**წყალტუბოში:** 8 +7=0-1 **ბურთები:** 15:3
**სულ:** 17 +8=0-9 **ბურთები:** 25:30

წინა ტურში „მერანთან" შინ დიდი ანგარიშით მარცხის შემდეგ რუსთაველებს რეაბილიტაციის შანსი ეძლევათ — წყალტუბოდან წამოღებული ქულაც საქმე იქნება. იასონ ალადაშვილის ბიჭები მოგებაზეც არ იტყვიან უარს, მაგრამ „სამგურალი" შინ ერთობ ძნელი წასაქცევი უნდა გამოდგეს „გორდასთვის" მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველებს აქამდე სამჯერ გაუმარჯვიათ წყალტუბოში!

თუ იმერლები მოიგებენ, გათამაშების ცხრილში რუსთაველებს გადაასწრებენ და მაჩანჩალათა მარაქასაც მოსცილდებიან. არ არის ურიგო გუნდი „სამგურალი", უბრალოდ, მეცამეტე ეროვნულისთვის რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა და ახლა ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს. გია გიგატაძის გუნდს განსაკუთრებით თავდასხმაში უჭირს და სწორედ „გორდადან" გადმოსული 21 წლის ფორვარდის გიორგი მიქაძის იმედად არიან.

თუ „გორდას" ლიდერი ვარლამ კილასონია ითამაშებს (მას კუნთი ჰქონდა დაჭიმული), ცხადია, იასონ ალადაშვილის ბიჭებს საქმე გაუადვილდებათ. ისე კი, გოლების გატანა რევაზ გოცირიძესა და მრავალნაცად ივანე ჯუღელსაც ეხერხებათ.

პროგნოზების კეთება კი ამ შეხვედრაში ნაღდად არ ღირს, ერთობ გამოუცნობი წყვილია.

### ტორპედო — სიონი

**ქუთაისში:** 6 +5=1-0 **ბურთები:** 16:2
**სულ:** 12 +8=2-2 **ბურთები:** 31:15

წესით და რიგით, ჩემპიონმა ზედიზედ მეოთხე გამარჯვება უნდა იზეიმოს მეცამეტე ეროვნულში. არ არის „სიონი" ის გუნდი, ქუთაისიდან ქულა რომ წამოიღოს, თანაც ქვემოქართლელთა ახალწვეული გიორგი ქორიძე, რომელიც წინა ტურში ჩინებულად გაისარჯა, კვიპროსს გაემგზავრა. მაგრამ თუ „ტორპედო" მოდუნდება ან ზედმეტად თვითდაჯერებული გავა მოედანზე, „სიონი" შანსს ხელიდან არ გაუშვებს. გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს ქვემოქართლელებს და მათ წინაალმდეგ სათამაშოდ სერიოზულად თუ არ განეწყვე, არაფერი გამოგივა. ქუთაისელები ბესიკ შენგელიას უნდა უფრთხოდნენ, კარგ ფორმაშია ეს ნახევარმცველი და შორეული დარტყმებიც ეხერხება. ბოლნისელები კი აშვეთიას უნდა მოერიდონ — ქუთაისელი მეგოლე ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა და „სიონის" კარის დარაჯ თემურ ვოლკოვის გაწბილებასაც შეეცდება.

„ტორპედოს" რაიმე განსაკუთრებული პრობლემები არა აქვს — გუნდი ბრძოლის იშტაზეა და ბოლნისური ბარიერი უნდა გადალახოს.

### კოლხეთი — გურია

**ფოთში:** 8 +7=0-1 **ბურთები:** 23:3
**სულ:** 17 +13=0-4 **ბურთები:** 41:10

წინა უქმეებზე „ლოკომოტივის" დამარცხებით „კოლხეთმა" სერიოზული განაცხადი გააკეთა — აშკარაა, რომ სოსო ფილიას გუნდს შესწევს ძალა, რომელიმე ევროსაგზურისთვის იბრძოლოს.

ფოთელთა დაცვის ხაზში ჯერჯერობით იმედს ამართლებს „იბერიიდან" გადმოყვანილი ზაზა მიქელთაძე. ჩინებულად ირჯება ექსტორპედოელი მარჯვენაფლანგელი ბადრი ახვლედიანი. რაც შეეხება კახა კვეტენაძეს, ის ჯერ ვერ არის საუკეთესო ფორმაში. სტაბილურია გელა ფანჩულიძე, კარგ შთაბეჭდილებას ახდენს 21 წლის დავით კვირკველია, შედეგიანად ათამაშდა ფორვარდი ჰამლეტ წივწივაძე და „კოლხეთიც" სოლიდურ გუნდად გამოიყურება.

ქულები „გურიასაც" სჭირდება. ლანჩხუთელები უმეტესწილად გამოცდილი ფეხბურთელების — გენადი კაციაშვილის, როინ მარლიშვილისა და ზვიად ენდელაძის იმედად არიან. გურულებს ახალგაზრდებიც ჰყავთ, თუმც მათ ჯერ აშკარად უჭირთ უმაღლეს ლიგაში თავის წარმოჩენა.

ამ წყვილში ფავორიტი, რა თქმა უნდა, „კოლხეთია", მაგრამ აქ ერთი ფაქტიცაა. ლანჩხუთელთა კარს გუბაზ დოლიძე იცავს. მეკარე, რომელსაც აქვს უნარი, აუღებელი ბურთები მოიგერიოს და ნებისმიერი ძალის შტურმს გაუძლოს. ერთი სიტყვით, თუ დოლიძეს თამაში წაუვიდა და პატარა სასწაულები მოახდინა, მხოლოდ ასე თუ გადაურჩება „გურია" წაგებას.

### მერანი — ბათუმი

**თბილისში:** 4 +1=2-1 **ბურთები:** 3:3
**სულ:** 8 +2=4-2 **ბურთები:** 5:7

კვირას მხოლოდ ეს მატჩია და „სინათლეზე" წასვლაც უნდა ღირდეს. გათამაშების ცხრილში გუნდები მეზობლები არიან, რაც ინტრიგას კიდევ უფრო ზრდის.

მერანელთა წინა ხაზში მთავარ ძალას სულიკო დავითაშვილი წარმოადგენს. ჩინებულად ირჯება 21 წლის ნახევარმცველი და გუნდის კაპიტანი სოსო დევიძეც. ეს ენერგიული ფეხბურთელი ერთობ ნაყოფიერად მოქმედებს და „მერანის" ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო მოთამაშეა. დავითაშვილსა და დევიძეზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ამ შეხვედრაშიც.

გამართულ ფეხბურთს თამაშობს ასლან ბალაძის „ბათუმი". მწვრთნელმა მოახერხა და ისეთი გუნდი შექმნა, სადაც ვეტერანები და ახალგაზრდები ერთმანეთს ჩინებულად ეწყობიან. ახალი თაობიდან ჯერჯერობით ყველაზე მეტად 20 წლის მარჯვენაფლანგელი კახა ქაცარავა გამოირჩევა.

ბალაძე, ალბათ, ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ათამაშებს გუნდს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ სასტარტო შემადგენლობაში შალვა აფხაზავა ვიხილოთ. ეული ფორვარდი ისევ პაატა მაჭუტაძე უნდა იყოს. ეს 33 წლის ვეტერანი კვლავაც ჩინებულად ირჯება, მისი დარი შემსრულებელი „ბათუმს" სხვა არ ჰყავს. „მერანი" თავისი ყოფილი მარცხენაფლანგელის, გიალო ჩხაიძის შეტევებში სწრაფ ჩართვებსაც უნდა მოერიდოს.

გავბედავთ და ვიტყვით — „ბათუმი" დაცვით ვარიანტს აირჩევს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. ძველი ანგარიშები აქვს გასასწორებელი „ბათუმს" „მერანთან" — წინა სეზონში ზღვისპირელები ზეექვსეულში მოსახვედრად რომ იბრძოდნენ, ბოლო მომენტში სწორედ ოთარ გაბელიას გუნდმა შეუშალა ხელი, მერანელებმა აჭარაში მოუგეს „ბათუმს" 2:1.

**დავით თავართქილაძე**

თბილისი. 26 მაისი. 18 აგვისტო. 20 საათი

**ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

თბილისი. ეროვნული. 18 აგვისტო. 20 საათი

**დინამო — მეტალურგი**

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

წყალტუბო. 26 მაისი. 18 აგვისტო. 18.30 საათი

**სამგურალი — გორდა**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

ქუთაისი. ტორპედო. 18 აგვისტო. 20 საათი

**ტორპედო — სიონი**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ა. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ფოთი. ფაზისი. 18 აგვისტო. 18.30 საათი

**კოლხეთი — გურია**

მსაჯები: მ. მაისურაძე; ხუციშვილი, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); მ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

თბილისი. სინათლე. 19 აგვისტო. 18.30 საათი

**მერანი — ბათუმი**

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო



„ლოკომოტივის" დაცვა და მეკარე გიორგი ლომაია ლევან მელქაძეს (მარცხნივ) დღესაც უნდა უფრთხილდეს

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 2 მერანი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 |
| 3 ბათუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 4 კოლხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 4 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 5 ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 |
| 6 დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 7 გორდა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 9 სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 |
| 10 სამგურალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:9 | -6 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | -8 | 0 |
| 11 გურია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 12 მეტალურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | -8 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# სამხრეთ ამერიკა



REUTERS ბოტოტაბი

კოლუმბიელი ელკინ მურილიო (№15) და პერუელი მიგელ რებოსიო

# პერუმ კოლუმბია დახვრიტა

**XIV ტური**
**კოლუმბია 0:1 პერუ**

0:1 სოლანო (47)
კოლუმბია: ო. კორდობა, ი. ლოპესი, ი. კორდობა, იეპესი, ბედოია, გრისალესი (რამირესი 66), სერნა, ოვიედო (არიაგა 54), ჯ. ერნანდესი, მურილიო (ხ. კასტილიო 66), არისტისაბალი
პერუ: მირანდა, ხორხე სოტო, რებოსიო, პაჯელო, იდალგო, ხაიო (სალასარი 73), დელ სოლარი, პალასიოსი, სოლანო, კ. პიზარო (ხოსე სოტო 82), მენდოსა (ხოლსენი 90)
მსაჯი: ფელიპე რამოსი (მექსიკა)
45 000 მაყურებელი

**ბოგოტას** „ელ კამპინი" კოლუმბია — პერუს მატჩის საფინალო სასტვენს დუმილით შეხვდა. მასპინძელთა გულშემატკივრები შედეგით გაოგნებულნი იყვნენ. სტუმართა გამარჯვებას არავინ ელოდა. მით უმეტეს, რომ ერთი თვის წინ კოლუმბიელებს კოპა ამერიკის ნახევარფინალში პერუელები გვარიანად ჰყავდათ „გალახული". მაშინ ტურნირის ბომბარდირის ვიქტორ არისტისაბალისა და ჯოვანი ერნანდესის გოლებმა კონტინენტის მომავალი ჩემპიონები ნახევარფინალში გაიყვანა. ბოგოტაც ამიტომ ელოდა პერუელებს არხეინად. კოლუმბიელი ფეხბურთელები, რა თქმა უნდა, იოლ გასეირნებას არ გეგმავდნენ, მაგრამ გამარჯვების გარდა სხვა შედეგზე არც ფიქრობდნენ. პროგნოზები არ გამართლდა. ყველაზე ზუსტი პერუელი ხუან პაულოს სიტყვები გამოდგა: „კოპაზე კოლუმბიასთან თამაშისგან განსხვავებით მოედანზე სხვაგვარი მდგომარეობა იქნება. მაშინ ჩვენ უძლიერესი ფეხბურთელების გარეშე ვიყავით. ჩვენთვის უკან დასახევი გზა მოჭრილია. თუ გვინდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი შევინარჩუნოთ, ბოგოტაში უნდა ჩავიდეთ და მოვიგოთ".

მატჩის ხასიათი და შედეგი პერუელი ფეხბურთელის ნაწინასწარმეტყველებს ზუსტად ასახავს. კოლუმბიელთა გარჯაში დიდი მონდომება, დაუოკებელი ჟინი იგრძნობოდა. სტუმრები კი გაწონასწორებულ ფეხბურთს თამაშობდნენ. მატჩის დასაწყისმა „ელ კამპინზე" შეკრებილნი ნაადრევად დაამშვიდა და კოპას მეოთხედფინალი გაახსენა. ფრენკი ოვიედო მირანდას კარს რამდენჯერმე მეტად სახიფათო თავურებით დაემუქრა. თუმცა თამაში ნელნელა გათანაბრდა, პერუელებიც გათამამდნენ და „ბოკა ხუნიორსის" მეკარე ოსკარ კორდობაც ფრიად დასაქმეს. სტუმართა თავდამსხმელი ანდრეს მენდოსას კი ბურთის გატანის ისეთი შანსი მიეცა, რომ ანგარიში უცილობლად უნდა გახსნილიყო, მაგრამ გადამწყვეტ ჟამს პერუელმა ვერ ივარგა.

კოლუმბიელების თამაში თანდათან უფრო ნერვიული გახდა. ბურთმა პერუელთა კარის ბადეც კი შეარხია, მაგრამ მატჩის არბიტრმა მარიო იეპესის თავური არ ჩათვალა, რადგანაც სანამ კოლუმბიელი კუთხურიდან ჩამოწოდებულს თავს დაჰკრავდა, მეტოქე მცველებთან გვარიანი ჯაჯგური ჰქონია გამართული.

ტაიმის ბოლოს მენდოსამ ისევ მოსინჯა კორდობას მზადყოფნა. ხოლო მეორე ნახევარი მასპინძელთათვის საშინლად დაიწყო. პერუელებმა მასპინძლებს ხეირიანად დასვენება არ აცალეს და გოლით დაასაჩუქრეს. ინგლისურ „ნიუკასლში" მობურთალმა ნოლბერტო სოლანომ კორდობას მატჩის ერთადერთი გოლი გაუტანა.

მასპინძელთა მწვრთნელმა ფრანსისკო მატურანამ უმალ ცვლილებები განახორციელა. ოვიედოს ნაცვლად მოედანზე ეულარიო არიაგა შევიდა. ოვიედო, მიუხედავად მისი მწვავე შეტევებისა, სათადარიგოთა სკამზე შერცხვენილი დაჯდა. სოლანოს გოლი სწორედ მის ტაქტიკურ შეცდომას მოჰყვა.

არიაგას მალე ხაირო კასტილიო და ფრედი გრისალესი დაემატნენ, მაგრამ კოლუმბიელთა შეტევების დალაგება მათაც ვერ შეძლეს. მატჩი ლოგიკურ დასასრულს უახლოვდებოდა. და თუ ვინმეს შეეძლო გოლის გატანა, ისევ პერუელებს. კოლუმბიელები რამდენჯერმე ისევ ოსკარ კორდობამ, ხოლო ლევერკუზენელი კლაუდიო პიზაროს დარტყმის შემდეგ ძელმა იხსნა.

წლევანდელი კოპა ამერიკის ტრიუმფატორები შინ შერცხვნენ და კორეა-იაპონიის საგზურის მოპოვების შანსიც სათუო გაიხადეს. პერუსთან წაგება მათ ოთხეულში მოხვედრის შესაძლებლობას თითქმის წარმოუდგენელს ხდის, კოლუმბიელთათვის მეხუთე ადგილიც კი, რომელიც გუნდს ოკეანეთის გამარჯვებული ავსტრალიის ძლევის შემთხვევაში კორეა-იაპონიისკენ უხსნის გზას, საკმაოდ რთული მოსაპოვებელი ჩანს.

**გიორგი მამარდაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 14 | 11 | 2 | 1 | 35:11 | 35 |
| პარაგვაი | 14 | 8 | 2 | 4 | 21:13 | 26 |
| ეკვადორი | 14 | 8 | 1 | 5 | 17:18 | 25 |
| ბრაზილია | 14 | 7 | 3 | 4 | 24:12 | 24 |
| ურუგვაი | 14 | 6 | 3 | 5 | 14:10 | 21 |
| კოლუმბია | 14 | 5 | 4 | 5 | 12:13 | 19 |
| პერუ | 14 | 4 | 3 | 7 | 13:17 | 15 |
| ბოლივია | 14 | 3 | 5 | 6 | 15:21 | 14 |
| ჩილე | 14 | 3 | 2 | 9 | 14:20 | 11 |
| ვენესუელა | 14 | 2 | 1 | 11 | 10:40 | 7 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ერნან კრესპო (არგენტინა) | 9 |
| აუგუსტინ დელგადო (ეკვადორი) | 8 |
| რომარიო (ბრაზილია) | 8 |
| რივალდო (ბრაზილია) | 6 |
| ხუან სებასტიან ვერონი (არგენტინა) | 5 |

**ფეხბურთის რუკასთან**

**არგენტინულმა „რივერ პლეიტმა"** სამი წამყვანი ფეხბურთელი — პაბლო აიმარი, ხავიერ სავიოლა და რობერტო ბონანო ევროპაში რომ გაყიდა, ბევრი კონტინენტის წარმომადგენლებმა კიდევ ორზე, ყმაწვილ თავდამსხმელ ანდრეს დალესანდროზე და კოლუმბიელ მცველ მარიო იეპესზე ჩამოუგდეს სიტყვა. იტალიურმა „ჯენოამ" ორივე მოთამაშის გადაბირება განიზრახა, მაგრამ არგენტინელებმა ჭკუას უხმეს და იტალიელები უარით გაისტუმრეს, არავის ვყიდითო.

**მაკედონიური** ბიტოლას „პელისტერის" მწვრთნელად ბლაგოია კიტანოვსკი დაინიშნა. მან თანამდებობაზე ერთი კვირის წინ გუნდიდან დათხოვნილი სპასე რისტევსკი შეცვალა. კლუბის ხელმძღვანელობამ რისტევსკის ჩემპიონატის პირველივე ტურში პრილეპის „პობედასთან" 0:5 უეფას თასზე შვეიცარიულ „სენტ გალენთან" 0:2 და ამხანაგურ მატჩში „ვარდართან" 0:1 წაგებები არ აპატია.

**რუსულმა „კრილია სოვეტოვმა"** ისრაელიდან სამარაში ნიგერიელი მცველი პატრიკ ოვიე ჩაიყვანა. ალექსანდრ ტარხანოვის რჩეული აღთქმულ მიწაზე ჰაიფას „მაკაბიში" ბურთაობდა. ტარხანოვის თქმით, ნიგერიელი ფიზიკურად ძალიან ძლიერია და „კრილიას" დაცვას უთუოდ წაადგება.

**ინგლისურმა** „ტოტენჰემმა" კიდევ ერთი ფეხბურთელი შეიძინა. გლენ ჰოდლმა თავის ყოფილ კლუბ „საუთჰემპტონიდან" „უაით ჰართ ლეინზე" 4 მილიონ გირვანქად მცველი დონ რიჩარდსი გადაიყვანა.

**შოტლანდიური „სელტიკის"** ჰოლანდიელი ნახევარმცველი ბობ პეტა ოთხშაბათს ინგლისთან ამხანაგური მატჩის წინ ვარჯიშზე დაშავდა. მისმა ტრავმამ ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი ლუის ვან გაალი დაალონა: „ექიმებმა თქვეს, რომ პეტა სავარაუდოდ ოთხი ან ექვსი კვირით დაისვენებს, რაც ძალიან სამწუხაროა. მისი იმედი 1 სექტემბერს გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ირლანდიელებთან ძალიან მქონდა" — თქვა ვან გაალმა.

**უკრაინულმა** კიევის ცსკა-მ სახელი შეიცვალა — ამიერიდან მას „არსენალად" მოიხსენიებენ. მიზეზი ის გახლავთ, რომ კიევური კლუბი ქალაქის მუნიციპალიტეტის საკუთრება გახდა, რომელმაც კლუბის აქციების 51 პროცენტი შეიძინა. აწ უკვე ყოფილი ცსკა-ს მფლობელმა, უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ უფლებამოსილება კიევის მერ ალექსანდრ ომელჩენკოს გადააბარა. ომელჩენკო საფეხბურთო კლუბის გარდა მანამდე ჰოკეის გუნდ კიევის „სოკოლის" და საკალათბურთო „ბუდიველნიკის" მეპატრონეა. როგორც სააგენტოები იუწყებიან, ახალგამომცხვარი „არსენალის" წლიური შემოსავალი 15 მილიონი დოლარი იქნება.

**ბრაზილიელ ვეტერან თავდამსხმელს, 35 წლის რომარიო ფარიასს ამ კვირაში მარცხენა მუხლზე ოპერაციას გაუკეთებენ. „ვასკუ და გამას" ფეხბურთელი ბრაზილიის ჩემპიონატის მეხუთე ტურის მატჩში „ვიტორიასთან" დაშავდა და მოედანი 52-ე წუთზე დატოვა.**

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა ენდი კოულმა მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს ულტიმატუმი წაუყენა, თუ გუნდის ძირითადში არ მათამაშებ, სათადარიგო სკამზე ჯდომას არ ვაპირებ და კლუბიდან წავალო. ფერგიუსონიც შეჰპირდა ინგლისის ნაკრების ფორვარდს, მთლიანად თუ არა, ნახევარ სეზონს გათამაშებო. კოულმა კი უპასუხა, რომ მას მუდამ სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რათა ინგლისის ნაკრებში ადგილი შეინარჩუნოს. ენდი კოულს ყოფილი მანჩესტერელი, ამჟამად „მიდლსბროს" მწვრთნელი სტივ მაკლარენი შეეხმიანა და თავის გუნდში მიიწვია, სადაც თავდასხმაში მარკ უილსონთან ან ჯონათან გრინინგთან შეწყვილებას უპირებს. შავკანიანი კოულის ხელში ჩაგდება „ტოტენჰემის" თავკაცმა გლენ ჰოდლმაც მოისურვა.

**იტალიურმა „პერუჯამ"** კიდევ ორ ირანელ ფეხბურთელს დაადგა თვალი. თეირანის „ფიროზიდან" ნაყიდ ალი შემერეხს უახლოეს ხანში რაჰმან რეზაი და მეჰდი ნასაბ ჰაშემი შეუერთდებიან. როგორც „პერუჯას" გენერალურმა დირექტორმა ალესანდრო გაუჩიმ განაცხადა, ირანელები კონტრაქტს უახლოეს I 5ში გააფორმებენ, როცა თავიანთ ქვეყანაში ბიუროკრატიულ ფორმალობებს მოაგვარებენ.

**ინგლისელი** თავდამსხმელი ტედი შერინგემი „ტოტენჰემ ჰოთსპურის" კაპიტნად დანიშნეს. ასე თავად „მამლების" მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა გადაწყვიტა. მას მერე, რაც გუნდიდან სოლ კემპბელი წავიდა, „უაით ჰართ ლეინის" მკვიდრნი წინამძღოლის გარეშე იყვნენ. „ძალიან ბედნიერი ვარ, ეს ჩემთვის დიდი პატივია" — მოკლედ თქვა „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „ტოტენჰემში" დაბრუნებულმა ტედი შერინგემმა.

**იაპონელი მეკარე იუშიკაცუ კავაგუჩი „იოკოჰამა მარინოსიდან" ნისლიან ალბიონზე გადაბარგდა და პირველდივიზიონურ „პორტსმუთში" ჩაირიცხა. გაზეთ „დეილი მირორის" განცხადებით, ინგლისელებმა ფეხბურთელის აწ უკვე ყოფილ კლუბს 2.8 მილიონი დოლარი გადაუხადეს. „პორტსმუთის" დირექტორ ჰარი რედნაპის განცხადებით, კავაგუჩი ძალიან ნიჭიერი მეკარეა და ინგლისში თამაშით კლასს აიმაღლებს.**

**უკრაინელი** ვიტალი რუდენკო ამჟამად ოდესის „ჩერნომორეცის" კარს იცავს. თუმცა სავსებით შესაძლებელია, მშობლიური კლუბი დატოვოს და გახდეს პირველი უკრაინელი გოლკიპერი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში ითამაშებს. იტალიურმა „პერუჯამ" რუდენკო ახლახან ფინეთში დასრულებულ ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატზე შეამჩნია.

**დანიელი მეკარე, 35 წლის პეტერ კიაერი სტამბოლის „ბეშიქთაშში" გადავიდა. ერთ დროს დანიის ნაკრებში პიტერ შმაიხელის დუბლიორმა თურქეთს „სილკებორგიდან" მიაშურა. „ბეშიქთაშმა" თავის ნიგერიელ კარის დარაჯს, იკე შორუნმუს კონტრაქტი შეუწყვიტა და მას მერე ნორმალური გოლკიპერის ძიებაში იყო. თურქებს ამერიკელი კეისი კელერის ან კაიზერსლაუტერნელი გეორგ კოხის შეძენა სურდათ, თუმცა საბოლოოდ კიაერი შერჩათ ხელთ. პეტერ კიაერს სადებიუტო მატჩი გუშინ უნდა ეთამაშა, „ბეიქთაში" სტუმრად „ბურსასფორს" ხვდებოდა.**

**პორტუგალიური** „პორტუს" ანგოლელმა ნახევარმცველმა კარლოს ნარციზო შაინიუმ ესპანურ „სარაგოსას" მიაშურა. 27 წლის ფეხბურთელმა ესპანეთის თასის მფლობელთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და შესაძლოა ხვალ პირველი მატჩიც ჩაატაროს ქვეყნის სუპერთასზე მადრიდის „რეალთან". შაინიუ მეორე მოთამაშეა, რომელიც „სარაგოსამ" ამ ზაფხულს „პორტუდან" შეიძინა, მანამდე ესპანელებმა ბრაზილიელი მცველი კარლოს ესკერდინია გადაიბირეს. შაინიუს თავისთან ხილვა ვიგოს „სელტას" და თურქულ „გალათასარაისაც" სურდათ.

**იტალიური „მილანი" მადრიდის „რეალის" ბოსნიელი თავდამსხმელით, ელვირ ბალიჩით დაინტერესდა და მზადაა, ხელშეკრულებაც გაუფორმოს. ბალიჩს იტალიურმა სუპერკლუბმა ერთი კვირა მისცა მოსაფიქრებლად. ბოსნიელს „მილანის" გარდა „ნაპოლი", „ფიორენტინა" და „ტენერიფეც" ეპატიჟებიან, თუმცა მათ მისი იჯარით აყვანა სურთ, „მილანი" კი გამზადებულ კონტრაქტს სთავაზობს. მილანელებმა „რეალს" ელვირ ბალიჩის სანაცვლოდ 10 მილიონი დოლარი შეაძლიეს.**

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
აზია
II წრე. B ჯგუფი. I ტური
ყატარი 0:0 ომანი

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ოლიმპიკოდან დელე ალპიზე

## სალასი იუვენტუსში თითქმის გადავიდა

**დასასრული** ყველაფერს აქვს და გუშინ ერთი ცნობილი ტრანსფერიც გაიჩარხა. ტურინის „იუვენტუსმა" წარმატებით დაასრულა 10-დღიანი მოლაპარაკება რომის „ლაციოსთან". ჩილელი თავდამსხმელის მარსელო სალასის სანაცვლოდ „ბებერმა ქალბატონმა" რომაელები 27 მილიონ დოლარზე და ზედ იუგოსლაველი ფორვარდის, დარკო კოვაჩევიჩის დამატებაზე დაიყაბულა. მოლაპარაკებას სალასის აგენტი აწარმოებდა, თავად ფეხბურთელი კი ამჟამად სამშობლოში იმყოფება, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბოლიველებთან ჩილეს ნაკრებს შეეშველა და მეტოქეს ორი გოლიც გაუტანა. სალასმა „იუვენტუსში" გადასვლაზე თანხმობა ჩილედან შემოთვალა. ახლა მხოლოდ კონტრაქტზე ხელის მოწერაღაა დარჩენილი. ფეხბურთელი „იუვენტუსში" სამედიცინო შემოწმებას სამხრეთ ამერიკიდან დაბრუნებისთანავე გაივლის. არაა გამორიცხული, მარსელო სალასმა „იუვენტუსში" დღესვე ითამაშოს. „იუვე" ხომ ბერლუსკონის თასზე „მილანს" ეთამაშება.

„იუვენტუსმა" ამ ზაფხულში „ლაციოს" უკვე მეორე ფეხბურთელი წაჰგვარა — ჩეხი განაპირა ნახევარმცველი პაველ ნედვედი და ახლა სალასი. როგორც სააგენტოები იუწყებიან, ნედვედი მოხარულია, რომ კვლავაც სალასთან ერთად მოუწევს მინდორზე გასვლა: „მარსელო ბრწყინვალე ფეხბურთელი და ადამიანია. მე ყოველთვის მიადვილდებოდა მის გვერდით თამაში, სალასი ხომ გუნდისთვის ყველაფერს აკეთებს. ძალიან მოხარული ვარ, რომ მე და მარსელო კვლავაც ერთად ვითამაშებთ".

ერთი სიტყვით, მარჩელო ლიპის „იუვენტუსს" იტალიაში ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად მიიჩნევენ.

**გიორგი გუგაძიძე**




# ანელკა: განხეთქილების ვაშლი

**ნიკოლა ანელკას** მადრიდის „რეალისთვის" ერთი კარგი რამ აქვს გაკეთებული. ფრანგის ორი გოლის წყალობით სამეფო კლუბმა შარშანწინდელ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ბაიერნი" დაამარცხა, ფინალში გავიდა და თასიც მოიპოვა. სხვა მხრივ რა მოგახსენოთ, „რეალს" ანელკა არაფერში გამოადგა. მეტიც, ნიჭიერ ახალგაზრდას გუნდის ხელმძღვანელობასთან გაუთავებელი უთანხმოება ჰქონდა. ფეხბურთელი ძირითადშიც იშვიათად ხვდებოდა, რასაც თავად კლუბის მესვეურთა და თანაგუნდელთა მისადმი ცუდ დამოკიდებულებას აბრალებდა. ერთი ხანობა გულგატეხილმა ანელკამ თავი დაადო და თვენახევრით სადღაც გადაიკარგა. იგი არც ვარჯიშებზე და არც თამაშებზე არ ჩანდა. სამეფო კლუბსაც ყოველივე ყელში ამოუვიდა, ანელკა სულ მალე ტრანსფერზე დააყენა და გაყიდა კიდეც, თუმცა კი ვერაფერი მოიგო.

ფრანგულმა პსჟ-მ თავისი ყოფილი ფეხბურთელი ოცდათორმეტ მილიონად იყიდა. თავის დროზე კი სამეფო კლუბს „არსენალისგან" ამ ყმაწვილის გადმობირება „რეალისთვის" იმჟამად სარეკორდო თანხა — ოცდათექვსმეტი მილიონი დოლარი დაუჯდა.

არის ახლა ანელკა პარიზში მშვიდად, „რეალს" კი პრობლემა დაუტოვა. თავდამსხმელის ყოფილი მფლობელები, ლონდონელი „მეთოფეები" ესპანელებისგან ანელკას ღირებულების ბოლომდე დაფარვას ითხოვენ. თურმე ორი წლის წინ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით „რეალს" „არსენალისთვის" ფრანგის [illegible] [illegible], წელიწადში ოთხ-ოთხი მილიონი გირვანქით უნდა დაეფარა. სამეფო კლუბმა პირველ წელს გადასარიცხი გადარიცხა, მაგრამ შარშან თავი შეირცხვინა, „მეთოფეებს" პირი უტეხა და „ჰაიბერიზე" ცენტიც არ გაუგზავნია. ლონდონელები ამგვარ საქციელს, ცხადია, არავის, თვით დიდ სამეფო კლუბსაც არ შეარჩენენ. ესპანელთაგან ვალის დროზე გადაუხდელობის შემთხვევაში „არსენალი" ჯარიმით იმუქრება. „ჰაიბერის" მკვიდრნი „რეალის" ხელმძღვანელობას ჯერჯერობით მხოლოდ თანხის გადახდისთვის დადგენილი ვადის შემცირებით აშინებენ. „არსენალის" მეპატრონეთა განცხადებით, „რეალს" კონტრაქტის შეუსრულებლობისთვის წელიწადში ოთხის ნაცვლად რვა მილიონი გირვანქით შეუთხელებენ ჯიბეს.

**გიორგი გამარდჟშვილი**

24 საათის ინფორმაცია განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001
(1წთ / 50 თეთრი)

რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

## გერმანია

სოლომონ გულისაშვილი

**IV ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| შალკე | - | ლევერკუზენი |
| ბაიერნი | - | ზანქტ პაული |
| ვოლფსბურგი | - | ფრაიბურგი |
| ნიურნბერგი | - | შტუტგარტი |
| ვერდერი | - | მიუნხენი |
| ჰამბურგი | - | ლაუტერნი |
| ჰანზა | - | დორტმუნდი |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| ჰერტა | - | კოტბუსი |
| კიოლნი | - | გლადბახი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| ლაუტერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| ლევერკუზენი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| კოტბუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბაიერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ჰამბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| კიოლნი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| გლადბახი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ჰერტა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ვერდერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ფრაიბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ნიურნბერგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ჰანზა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ზანქტ პაული | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| შტუტგარტი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:2 | 2 |
| შალკე | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| ვოლფსბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| მიუნხენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |

# შალკე, მართლა ცალკე



„არენა შალკე“ ჰერმან ჰენკელმა და იოჰან ფაუსტმა ააგეს

**დღეს** გელზენკირხენის ახალ, მართლაც 21-ე საუკუნის სტადიონზე ბუნდესლიგის პირველი მატჩი გაიმართება. იქაური „შალკე“ ლევერკუზენის „ბაიერს“ დაუხვდება.

სტადიონს „შალკე არენა“ ჰქვია და 62 ათას მაყურებელს იტევს. მოძრავი სახურავი და მინდორი, კომფორტული სავარძლები და საერთოდ, მთელი მოწყობილობა ყველაზე პრეტენზიული სტუმრის გემოვნებასაც დააკმაყოფილებს. ერთი სიტყვით, გერმანიის ამ ინდუსტრიულ ქალაქს ერთი ულტრათანამედროვე ნაგებობა შეემატა.

სტადიონი კარგი რამ არის, მაგრამ ბუნდესლიგის შარშანდელმა მეორეადგილოსანმა და „სახალხო ჩემპიონმა“ „შალკემ“ წლეულს ერთობ მძიმედ დაიწყო. ორ მატჩში არც მოგების სიხარული უნახავს და არც გოლი გაუტანია. ამიტომაც ამბობს შალკელთა ვეტერანი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ანდრეას მიოლერი: „მძიმე ვითარებაში ვართ. „არენა“ მართლაც დიდებულია, მაგრამ ახლა ეს მთავარი არ არის. მთავარია როგორ ვითამაშებთ“.

„შალკე“, რომელიც დღეისთვის ბოლოდან მესამე ადგილზეა, ჯერაც წაუგებელ და მესამე საფეხურზე მდგარ „ლევერკუზენთან“ სეზონში პირველი გოლის გატანას შეეცდება, თუმცა საქმეს ისიც ურთულებს, რომ შარშანდელი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი დანიელი ებე სანდი არ ეყოლება, რომელმაც საფრანგეთთან ოთხშაბათის ამხანაგურ მატჩში მუცლის კუნთი დაიზიანა.

გელზენკირხენელებს აგრეთვე არ ეყოლებათ ივ აიგენრაუხი, ჰოლანდიელი მარკო ვან ჰუგდალემი და ბებერი ჩეხი ირჟი ნემეცი. სამაგიეროდ ჯანზე ჰყავთ სამი დღის წინ უნგრეთთან ბუნდესნაკრებში თავგამოჩენილი იორგ ბიომე და გაგერმანელებული განელი ჯერალდ ასამოა. შუა ხაზში მთავარი კაცი, ცხადია, მიოლერი იქნება, შეტევაში კი ემილ მპენზას მეწყვილედ 23 წლის ნიგერიელ ვიქტორ აგალის გაამწესებენ.

სტუმარ ლევერკუზენელებს მუხლისტრავმამოშუშებული მცველი იენს ნოვოტნი დაუბრუნდებათ, მაგრამ ეროვნული გუნდის შუახაზელი მიხაელ ბალაკი დააკლდებათ, ვისაც ფეხის თითი აქვს მოტეხილი.

ჩემპიონი „ბაიერნი“, რომელიც მეოთხე ტურის წინ თითო მოგებით, ფრითა და წაგებით მეხუთე ადგილზე დამდგარა, ბუნდესლიგის ახალწვეულ „ზანქტ პაულის“ უმასპინძლებს და ოთხ წამყვან ფეხბურთელს ვერ ათამაშებს. შტეფან ეფენბერგი, მეჰმეთ შოლი და იენს იერემისი დაშავებულან, ხოლო პერუელი კლაუდიო პიზარო თავისი ქვეყნის ნაკრებში კოლუმბიასთან შესარჩევ მატჩში მონაწილეობდა და დროულად დაბრუნებას ვერ ასწრებს.

საინტერესოა, რომ შუა კვირაში „ბაიერნის“ 13 ფეხბურთელი გამოიძახეს სხვადასხვა ნაკრებებში. ჩამოთვლილი ოთხეულიდან კი სამი ნახევარმცველია. რა უნდა ქნას ოტმარ ჰიცფელდმა. რა და, პლეიმეიკერად, შესაძლოა, შვეიცარიელი ჩირიაკო სფორცა ათამაშოს. „ბაიერნის“ ვებ-გვერდის ვარაუდით, ეს ფუნქცია ეგებ ჭაბუკმა ინგლისელმა ოუენ ჰარგრივსმაც იტვირთოს. მათ გარდა ნახევარდაცვაში ჰიცფელდს „ჰამბურგიდან“ გადასული 30 წლის ხორვატის, ნიკო კოვაჩის იმედიც ექნება.

ამ რამდენიმე დღის წინ „უილიამ ჰილის“ ცნობილმა ბუქმეიკერულმა კანტორამ გერმანიის ჩემპიონობაზე დაიწყო ფსონების მიღება. შარშანდელის მსგავსად, პირველობის ყველაზე რეალურ კანდიდატად „ბაიერნი“ ითვლება (4/5), მეორეზე დორტმუნდის „ბორუსიაა“ (2/1), „ლევერკუზენის“ შანსს კი 11/2-ზე აფასებენ.

ყველაზე ნაკლები შანსი კი „ჰილის“ მიხედვით, ბავარიელთა დღევანდელ მეტოქე „ზანქტ პაულის“ აქვს — 2000/1.

ახლა ჯერაც ქულადაუკარგავებზე ვთქვათ. „დორტმუნდისა“ და „კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელები, ცხადია, კვლავაც მოსაგებად არიან მომართულნი. მათიას ზამერს მიაჩნია, რომ მის ბიჭებს როსტოკში „ჰანზას“ წაქცევა არ გაუჭირდებათ. ზამერი ტრავმირებულ იორგ ჰაინრიხს სანდი ოლისეთი ან მიროსლავ სტევიჩით შეცვლის. მთავარი იმედი კი ისევ ბრაზილიელი მარსიო ამოროზო იქნება, ვინც ბუნდესლიგის პირველ სამ ტურში ოთხი გოლი გაიტანა.

„ლაუტერნის“ დამრიგებელი ანდრეას ბრემე კი ფრანგ იური ჯორკაეფს კვლავ არ ათამაშებს. ის ტრავმისგან ბოლომდე ვერ განკურნებულა. თავად ჯორკაეფმა ჟურნალ „კიკერს“ განუცხადა, რომ მთელი დატვირთვით ვარჯიშობს და სათამაშოო მზადაა, თუმც ბრემემ ცოტა ხანს მოცდა ურჩია.

ჩვენებურთა „ფრაიბურგი“ „ვოლფსბურგს“ ესტუმრება. წინა ტურში ორივე გუნდი შერცხვა. „ფრაიბურგმა“ შინ „ჰერტასთან“ 1:3 წააგო, ხოლო „მგლები“ დორტმუნდში 0:4 განადგურდნენ. არადა ფრაიბურგელები მანამდე „ნიურნბერგთან“ დამარცხდნენ. ნუთუ ზედიზედ მესამე თამაშსაც წააგებენ?..

# მოგონებანი ბობანის დღეთა

## დღეს მილანი — იუვენტუსია



ზვონიმირ ბობანი (შუაში) „მილანს“ და „სან სიროს“ ემშვიდობება

**სალამოს** სერია A-ს დაწყებამდე დიდებული „სან სირო“ გადაივსება. ტრადიციულ ბერლუსკონის თასზე ტრადიციული და პრინციპული მეტოქეები — „მილანი“ და „იუვენტუსი“ ხვდებიან ერთმანეთს. და კიდევ, „როსონერი“ ახალ სეზონში პირველად წარდგება საყვარელ ქომაგთა წინაშე. სტადიონზე კლუბის პრეზიდენტ და იტალიის პრემიერ-მინისტრ, სილვიო ბერლუსკონისაც ელიან. „სან სირო“ იმავდროულად ზვონიმირ ბობანს დაემშვიდობება. მოკლედ, დღეს მილანში დიდი ამბებია. „მილანის“ მწვრთნელ ფატიჰ თერიმს დღევანდელ მატჩში მხოლოდ გამარჯვება სწყურია: „ჩვენთვის ყოველი მატჩი მნიშვნელოვანია, თუგინდ ამხანაგური იყოს. მაგრამ ახლა საქმე გვაქვს თასთან, რომელიც ჩვენი პრეზიდენტის სახელს ატარებს. ამიტომაც, ვფიქრობ, ზედმეტია ამაზე ლაპარაკი. უნდა მოვიგოთ, თუმცა მეტოქეს დიდ პატივს ვცემ, „იუვენტუსი“ დიდი გუნდი და ღირსეული მეტოქეა. თამაში ჩინებული იქნება“.

როგორც იცით, ზვონიმირ ბობანმა ვიგოს „სელტასთან“ გააფორმა კონტრაქტი და საფეხბურთო კარიერასაც ესპანეთში გააგრძელებს. თუმცა უთხოვია, დღეს „მილანის“ მაისურით უკანასკნელად მათამაშეთო. ხორვატი იტალიურ სუპერკლუბს ცხრა წელი ემსახურა. ამ ხნის მანძილზე „ზოროს“ ბევრი აქვს მოსაგონარი, თუმცა წარმატებებიდან მნიშვნელოვანს გამოყოფს: „რა თქმა უნდა, 1994 წელს ჩემპიონთა ლიგის მოგება და ბოლო სკუდეტო. არც 92 წელი მავიწყდება, როდესაც პირველივე სეზონში იტალიის ჩემპიონობა მოვიგე“. მწვრთნელებიდან ფაბიო კაპელოს ეთაყვანება, უდიდესი სტრატეგი და ჩინებული სპეციალისტიაო. ალბერტო ძაკერონისთან, მართალია, ხშირად ჰქონდა უთანხმოებები, მაგრამ ეს უფრო საფეხბურთო ამბები იყო, თორემ როგორც პიროვნებას, ძალიან აფასებს. ბოლოს ბობანმა თერიმზე და რუი კოშტაზეც გამოთქვა თავისი აზრი. თურქი ამ გუნდში ბევრს მიაღწევს, იმით კი, ჩემი ათნომრიანი მაისურა სწორედ რუი კოშტამ რომ ჩაიცვა, ძალიან ვამაყობო...

...ზემოთ რაც ვთქვით, ეს ყველაფერი დღეს სალამოს მოხდება. გუშინ კი მილანელოში ვარჯიში დემეტრიო ალბერტინიმ განაახლა. მან ტრავმა მოიშუშა, ფორმის აღსადგენად ცოტა სჭირდება და უკვე 9 სექტემბრისთვის შესაძლოა მოედანზეც კი გავიდეს.

**გიორგი მუზაკიძე**

გიო ახვლედიანის

# აქ იმიტომ ვარ

დღეს კიდევ ერთხელ იწყება პრემიერლიგა.

აბა?

იქნებ გგონიათ, რომ ამას განსაკუთრებულად იმიტომ აღვნიშნავ, რომ პრემიერლიგის მეტი არაფერი მაინტერესებს? სრულიადაც არა. აგერ, ბუნდესლიგასაც მშვენივრად ვუყურებ და მომავალ უქმეებზე საერთოდაც სერია „ა“ იწყება. და განა ბევრი რამ შეედრება საკვირაო იტალიური მატჩის ცქერას?

მაგრამ მაინც, დღეს პრემიერლიგა იწყება და თუკი რამე შეედრება საკვირაო იტალიური მატჩის ცქერას, ეს საშაბათო ინგლისური მატჩია.

თქვენი არ ვიცი, მე კი პრემიერლიგური შაბათის გარეშე ფეხბურთს საერთოდ ვერ ვატან გემოს. მეტიც, საკვირაო იტალიურ მატჩს იმიტომ ვუყურებ ინტერესით, რომ შაბათს ინგლისური მატჩი მაქვს მოლეული. სხვანაირად რომ ვთქვათ, ემოციები და ის, რისთვისაც მიყვარს ფეხბურთი შაბათს მინახავს, კვირას კი უფრო სხვა რამ მაინტერესებს. საერთოდ, იტალიაში სულ სხვა რამ არის საინტერესო, ინგლისში კი — სულ სხვა.

თავისი ფერებით, სულით, მოქმედებით, ტელეჩვენების ხერხებით პრემიერლიგა ყველაზე უფრო ჰგავს დიდ ჩრდილოამერიკულ შეჯიბრებებს კალათბურთსა და ჰოკეიში. იქნებ სჯობს ითქვას, რომ ეს შეჯიბრებები ჰგავს პრემიერლიგას თავისი სულით. თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ერთიან ანგლო-საქსურ სივრცეში ტარდება და თვალისმომჭრელი სიჭრელე, კანის ფერისა და საკლუბო სამოსის საოცარი მოხდენილობა, მაინც დაფუძნებულია იმ მიმზიდველ საშეჯიბრო პრინციპზე, ბრიტანელმა რომ აჩუქა მსოფლიოს.

აი, დაიწყება პრემიერლიგა და აბობოქრდება გრძნობები. ყველამ ვიცით, ეს ასე იქნება: ირბენენ უსწრაფესად, უკანმოუხედავად შეუტევენ, ეჯაჯგურებიან და ეძიძგილავებიან ერთმანეთს, გაიტანენ ულამაზეს გოლებს, არ ჩაიმუხლებენ, დაილეწებიან და მაინც გააგრძელებენ თამაშს, იქნება სიმღერა და ღრიალი, გაწევ-გამოწევა და რა თქმა უნდა, საოცარი ოსტატობა, იმგვარი რამ, რისი გამოგონებაც და არსებობაც მხოლოდ კუნძულზეა შესაძლებელი, მერე რომელიღაც თავდამსხმელი ცარიელი კარის წინ აიღებს ბურთს ხელში, მეკარე დაშავდა და ვერ გავიტანო, მერე თითისტოლა იორკშირელი ბიჭები ჩაიდენენ გმირობას, ვიღაც უბერებელი ნახევარმცველი კი, იმავდროულად მწვრთნელიც რომ არის და ბაბუაც, გადამწყვეტ გოლს გაიტანს... და ასე იქნება სულ ბოლო წამამდე, შენ კი გული დაგწყდება, რომ პრემიერლიგის კიდევ ერთი შაბათი დასრულდა.

# ევროპული ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

***არსენალი:*** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დევიდ ნობლი (უოტფორდი), ალექს მანინგერი (ფიორენტინა, იტალია); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), იუნიჩი ინამოტო (გამბა ოსაკა, იაპონია).**

***ასტონ ვილა:*** ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი); **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია), დანი გარსია (ბარსელონა, ესპანეთი), ბოშკო ბალაბანი (დინამო (ზაგრები, ხორვატია)**

***ბლექბერნი:*** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი), ჯიმი ტრაორე (ლივერპული).**

***ბოლტონი:*** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); **ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია).**

***ჩარლტონი:*** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი), ლუკ იუნგი (ტოტენჰემი), გევინ პიკოკი (ქუინზ პარკ რენჯერსი).**

***ჩელსი:*** გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი), კორტნი პიტი (პორტსმუთი), სტივენ ბროდი (საუთენდი), ჯეი რიჩარდსონი (ექსეტერი), სემ პარკინი (ნორთჰემპტონი), რობერტ უოლესტონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ რედინგტონი (მენსფილდი), ფრანკ ლებეფი (მარსელი, საფრანგეთი), ჯონ ჰარლი (ფულემი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი), ბუდევინ ზენდენი (ბარსელონა, ესპანეთი).**

***ევერტონი:*** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი), შონ დოჰერტი (ფულემი), მაიკლ ბოლი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ჯევონსი (გრიმსბი), სტივენ ჰიუზი (უოტფორდი).**

***დერბი ქაუნთი:*** რორი დელაპი (საუთჰემპტონი); **რიკარდო მასპერო (ტორინო, იტალია), დანიელე დაინო (მილანი, იტალია), ფაბრიციო რავანელი (ლაციო, იტალია).**

***ფულემი:*** საიმონ მორგანი (ბრაიტონი), პოლ პეშისოლიდო (შეფილდ იუნაიტედი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდელსალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი), შონ დოჰერტი (ევერტონი), ედვინ ვან დერ სარი (იუვენტუსი, იტალია), ჯონ ჰარლი (ჩელსი).**

***იფსვიჩი:*** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი), ტომი მილერი (ჰარტლპული), მატეო სერენი (სამპდორია, იტალია).**

***ლიდსი:*** უორენ ფინი (ბორნმუთი), კევინ დიქსონი (ბარნსლი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

***ლესტერი:*** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი), იან უოქერი (ტოტენჰემი).**

***ლივერპული:*** იან არმსტრონგი (პორტვეილი), ჯიმი ტრაორე (ბლექბერნი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი), მილან ბაროში (ბანიკი, ჩეხეთი).**

***მიდლსბრო:*** ნაილ მედისონი (დარლინგტონი), კრისტიან კარამბუ (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **შილარდ ნემეთი (ინტერი, სლოვაკეთი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფრანსუა გრენე (ბორდო, საფრანგეთი), ჯონათან გრინინგი (მანჩესტერ იუნაიტედი), მარკ უილსონი (მანჩესტერ იუნაიტედი).**

***მანჩესტერ იუნაიტედი:*** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტვეილი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი), ჯონათან გრინინგი (მიდლსბრო), მარკ უილსონი (მიდლსბრო); **რუუდ ვან ნისტელროოი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია), როი კეროლი (უიგანი).**

***ნიუკასლი:*** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი), ლორან რობერი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი).**

***საუთჰემპტონი:*** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა), დინ რიჩარდსი (ტოტენჰემი); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი), ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ჯაჩინტო ელა იენი (ესპანიოლი, ესპანეთი).**

***სანდერლენდი:*** კარსტენ ფრედგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმეკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელიონი (კანი, საფრანგეთი).**

***ტოტენჰემი:*** ნაილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი), ლუკ იუნგი (ჩარლტონი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კრისტიან ციგე (ლივერპული), კეისი კელერი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), დინ რიჩარდსი (საუთჰემპტონი).**

***ვესტ ჰემი:*** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო), სტივ ანგესი (კემბრიჯი), ამოს ფოიევა (ბორნმუთი); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ანდრეს დალესანდრო (სან ლორენსო, არგენტინა).**

## ესპანეთი

***ალავესი:*** ხავი მორენო (მილანი, იტალია), კოზმინ კონტრა (მილანი, იტალია), ივან ტომიჩი (რომა, იტალია), ივან ასკოიტია (რაიო ვალეკანო), დიაგო განანი (სალამანკა); **ბოგდან მარა (დინამო, რუმინეთი), ალესანდრო (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), ხოსე ემილიო ამავისკა (რასინგი), ჩომინ ნაგორე (ნუმანსია), ალბერტო სერანო (ესპანიოლი), კარლოს ლორენსი (ატლეტიკო), რუბენ ნავარო (ნუმანსია), ფაბრიციო კოლოჩინი, გაბრიელე ალდეგანი (ორივე მილანი, იტალია).**

***ბეტისი:*** **მინხო (რაიო ვალეკანო), ვაშინგტონ ტაისი (რასინგი), ვიქტორ იკპება (დორტმუნდი, გერმანია).**

***ბილბაო:*** იმანოლ ეჩებერია (რაიო ვალეკანო); **აიტორ ოკიო (ოსასუნა), ხუან კარლოს სივორი (კორდობა), სესარი (სევილია), ლუის პრიეტო (ეიბარი), ურაკა (ესტრემადურა), დიეგო კარანკა (ესტრემადურა), ხორხე პერესი (ესტრემადურა).**

***ბარსელონა:*** ივან დე ლა პენია (ლაციო, იტალია), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), სიმაო საბროსა (ბენფიკა, პორტუგალია), დანი გარსია (ასტონ ვილა, ინგლისი), ბუდევინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი); **ჯოვანი (კრუზეირო, ბრაზილია), ფაბიო როჩემბაკი (პორტუ ალეგრი, ბრაზილია), ფილიპ კრისტენვალი (მონაკო, საფრანგეთი), პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), რობერტო ბონანო (რივერ პლეიტი, არგენტინა), ხავიერ სავიოლა (რივერ პლეიტი, არგენტინა).**

***სელტა:*** პაბლო კუნაგო (იფსვიჩი, ინგლისი), ხუან ხაიო (უნიონ სანტა ფე, არგენტინა), გორან ჯოროვიჩი (დეპორტივო); **ოლაისი (პონტევედრა, ბრაზილია), ივან კავიედესი (ვალიადოლიდი), ჯაკობო კამპოსი (კომპოსტელა), ხუან მენა (ხერესი), პაბლო კონტრერასი (რასინგი), ფლორიან მორისი (მარსელი, საფრანგეთი), იერეი ორტეგა (ლას პალმასი), ზვონიმირ ბობანი (მილანი, იტალია)**

***დეპორტივო:*** ჟაკ სონგო (მეცი, საფრანგეთი), ტურუ ფლორესი (სპორტინგი, პორტუგალია), სალაჰედინ ბასირი (ლილი საფრანგეთი), პეტერ კოუბა (იაბლონეცი, ჩეხეთი), სებასტიან აბრეუ (ნასიონალი, ურუგვაი); **ექტორ ბერენგელი (სევილია), ხაიმე (რასინგი), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ოსასუნა), ჩანგუი (ელჩე), გაბრიელ შურერი (ლას პალმასი), აბრეუ (სან ლორენსო, არგენტინა), დავიდ პირი (ნუმანსია), მანელი (ნუმანსია), ივან პერესი (ნუმანსია), ენრიკე (ფეროლი), აირა (ფეროლი), გორან ჯოროვიჩი (სელტა), სერხიო გონსალესი (ესპანიოლი).**

***ესპანიოლი:*** კრისტობალი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), დიეგო დე ლუკასი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), ალბერტო სერანო (ალავესი), კონსტელ გალკა (ვილიარეალი), ხორდი ლარდინი (ატლეტიკო), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია), ჯაჩინტო ელა იენი (საუთჰემპტონი, ინგლისი), სერხიო გონსალესი (დეპორტივო); **ალექს ფერნანდესი (ოსასუნა), დავიდ აგანსო (რეალი), ფრანი (ლეიდა), მანელი (სპორტინგი), ხუან ფრანსისკო პალენსია (კრუს ასული, მექსიკა), კატალინ მუნტიანუ (ატლეტიკო).**

***ლას პალმასი:*** ამადორი (ერკულესი), გაბრიელ შურერი (დეპორტივო), მარიო ტურდო (რენი, საფრანგეთი), ანტონიო გიარე (ვილიარეალი), იერეი ორტეგა (სელტა); **ფაბიან ტევენე (სევილია), ნეირა (უნიონ ესპანიოლა, ჩილე), სოკორო (ელჩე), კუესადა (უელვა), ვიქტორი (უნივერსიდადი), ალბერტო (უნივერსიდადი), ვეგა (გრანადა), ალექსი (ტენერიფე).**

***მალაგა:*** მარტინ რივასი (ინტერი, იტალია), ფრანსისკო რუფეტე (ვალენსია), გონსალო დე ლოს სანტოსი (ვალენსია); **ბოშკო ლეკო (ჰაიდუკი, ხორვატია), დუდა (კადისი), ავულე კუაჲ არიკი (ორივე ჰართს ოფ ოკი, განა), გარსია ხერარდო (ვალენსია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), კარლუშ ლიტუში (ბოავიშტა, პორტუგალია), მარსელო რომერო (ენეაროლი, ურუგვაი).**

***მალიორკა:*** ხოსე კარერასი (ატლეტიკო), არმანდო ალავესი (ატლეტიკო), იოვან სტანკოვიჩი (ატლეტიკო), ხერმან ბურგოსი (ატლეტიკო); **ფათიჰ აკიელი (გალათასარაი, თურქეთი), სამუელ ეტოო (რეალი), ხოსემი, ჯოკაი (ორივე ლეიდა), ვისენტე (სპორტინგი).**

***ოსასუნა:*** კუკო სიგანდა (თამაში მიატოვა), ალექს ფერნანდესი (ესპანიოლი), ალფონსო ვერა (სევილია), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ყველა დეპორტივო), ანხელი (სევილია), აიტორ ოკიო (ბილბაო), ლორენსი (ატლეტიკო), გარსია ხერარდო (ვალენსია); **ჯონ ალოიზი (ქოვენთრი, ინგლისი), პუნიალი, მორალესი (ორივე ლეგანესი), ვილია (ფეროლი), მოა (ლევანტე), ალმუნია (საბადელი), ხერარდო დამიან რივერო (ალმაგრო, არგენტინა), რაფაელ ოლარა (უნივერსიდადი, ჩილე), დანიელ გასტონ მონტენეგრო (მარსელი, საფრანგეთი).**

***რაიო ვალეკანო:*** გუსტავო ბარტელტი (რომა), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (ვილიარეალი), მინხო (ბეტისი), კეისი კელერი (ტოტენჰემი, ინგლისი); **ივან ასკოიტია (ალავესი), იმანოლ ეჩებერია (ბილბაო), ზოლტან გრანოვი (უიპეშტი, უნგრეთი), მიჩელ II (სევილია), რივერა (ფეროლი), ჩიჩი პერაგონი (ლევანტე), ერიკ რუა (ტრუა, საფრანგეთი).**

***რეალი:*** მანუელ სანჩისი (თამაში მიატოვა), დავიდ აგანსო (ესპანიოლი), სამუელ ეტოო (მალიორკა), ესტებან კამბიასო (რივერ პლეიტი, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (ბენფიკა, პორტუგალია), ტოტე (ვალიადოლიდი); **როდრიგო ფაბრი (სპორტინგი, პორტუგალია), ედვინ კონგო (ტულუზი, საფრანგეთი), ესტებან კამბიასო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (სოსიედადი), ხულიო ალვარესი (რასინგი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია).**

***სოსიედადი:*** ესტებან ფუენტესი (თამაში მიატოვა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (რეალი); **ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), ხოსე ბარკერო (ეიბარი), ალდეონდო (კორდობა), იკერ ალვარესი (ბეასანი), იგორ ცვიტანოვიჩი (დინამო, ხორვატია), ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი).**

***სევილია:*** ექტორ ბერენგელი (დეპორტივო), ფაბიან ტევენე (ლას პალმასი), სესარი (ბილბაო); **ალფონსო ვერა (ოსასუნა), ანხელი (ოსასუნა), მარიანო რამონ ტოედტლი (სალამანკა).**

***ტენერიფე:*** მისტა, კურო ტორესი (ორივე ვალენსია), ლუის გარსია (ვალიადოლიდი), ალექსი (ლას პალმასი); **ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია).**

***ვალენსია:*** ზლატკო ზაჰოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), დიდიე დეშამპი (მონაკო, საფრანგეთი, მწვრთნელი), გარსია ხერარდო (მალაგა), გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია), ჯონათან ლოპესი (ნუმანსია), იოაკიმ ბიორკლუნდი (ვენეცია, იტალია); **კარლოს მარჩენა (ბენფიკა, პორტუგალია), მისტა (ტენერიფე), კურო ტორესი (ტენერიფე), ხერარდო (ოსასუნა), ლივერო პარი, დენის სერბანი, ხავი ნავარო (ყველა ელჩე), რუბენ ნავარო, კურო მონტოია (ორივე ნუმანსია), ხისკო (უელვა), ფრანსისკო რუფეტე (მალაგა), გარსია ხერარდო (ოსასუნა), გონსალო დე ლოს სანტოსი (მალაგა), სალვა ბალესტა (ატლეტიკო).**

***ვალიადოლიდი:*** ალბერტო, რაული, ხოსე ანტონიო გარსია კალვო (ყველა ატლეტიკო), იან ჰაინცე (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), კვატემოკ ბლანკო (ნეკაქსა, მექსიკა); **გასპარი, მარიო (ორივე ატლეტიკო), ლუის გარსია (ტენერიფე), ტოტე (რეალი).**

***ვილიარეალი:*** **ორიოლ ლოსანო (ლეიდა), კონსტელ გალკა (ესპანიოლი), კიკე მარტინი (სალამანკა), ხავი ვენტა (ფეროლი), ანტონიო გიარე (ლას პალმასი), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (რაიო ვალეკანო).**

***სარაგოსა:*** სერგეი გურენკო (რომა, იტალია), ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია); **კარლოს ნარციზო შაინიუ, კარლოს ესკერდინია (ორივე პორტუ, პორტუგალია), გორან დრულიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ლუჩანო გალეტი (ესტუდიანტესი, არგენტინა).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

ქართული გაზეთები

# ინგლისის პრემიერლიგა 2001–2002

**დღეს** იწყება და ცხრა თვეს ანუ 273 დღეს გაგრძელდება პრემიერლიგა, უფრო სწორედ კი მისი 2001-2002 წლების სეზონი.

თავად პრემიერლიგა არის მწვერვალი იმ რთული მექანიზმისა, რასაც ინგლისის ჩემპიონატი წარმოადგენს და პირამიდის ფორმა აქვს. მართალია, ეს სტატია პრემიერლიგის დაწყებასთან დაკავშირებით იწერება, მაგრამ ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს ჩემპიონატის სტრუქტურის სრულად გაცნობა.

ჯერ ერთი ამბავი გავიხსენოთ, რომელიც აგვისტოს ჟურნალ „სარბიელში“ წერია.

ინგლისში ძალიან, ძალიან დაბალ ლიგაში, იქ საიდანაც პრემიერლიგამდე ათი საფეხურია — გვარიან ტალახში პრინციპული შეხვედრა მიმდინარეობდა. ერთი გუნდის თავდამსხმელს მეორე გუნდის მცველი ეუხეშა, რამაც ტრიბუნაზე მავანი გულშემატკივარი გაახელა. გახელებული მოედანზე ჩახტა, უხეშ მცველსა და მსაჯს მიეჭრა და ყვირილი დაუწყო.

მსაჯი თავიდან დაიბნა. ხსნა, თითქოს, არსაიდან ჩანდა, ჩამხტარს კი ეჩვენებოდა, რომ სრულ ჭკუაზე ვერ უ... ბრძანებულიყო. და რეფერიმ ხერხი არჩია ლონეს: ჯიბიდან წითელი ბარათი ამოიღო დაააფრიალა. წითელი ბარათის აფრიალებას დიდებული შედეგი მოჰყვა: გახელებულმა გულშემატკივარმა თავი ჩაღუნა და გასახდელისკენ გაეშურა.

აქ ეს ისტორია (ჟურნალში ამისთანა სხვაც ბევრია) ერთი მიზნით გავიხსენეთ — რათა აღგვენიშნა, რომ ინგლისში ძალიან ბევრი ლიგაა.

დავიწყოთ: უმაღლესი დონეა პრემიერლიგა. მას მოსდევს ნეიშენვაიდ ლიგა, რომელიც აერთიანებს ინგლისის პირველ, მეორე და მესამე დივიზიონებს. ამის შემდეგ მოდის ის დივიზიონები, რომლებსაც მოკლედ ნონ-ლიგას ვუწოდებთ. რომ განვავრცოთ, მივიღებთ, რომ ნონ ლიგა მეხუთედან მეათე დივიზიონებს აერთიანებს. მეხუთეა კონფერენცია, რომლის გამარჯვებულიც ნეიშენვაიდის მესამე დივიზიონში ალზევდება, ხოლო სამი უარესი გუნდი ქვეითდება უნიბონდ ლიგაში, დოქტორ მარტენ ლიგაში და რაიმენ ლიგაში.

უნიბონდ და დოქტორ მარტენის ლიგებს თავიანთი პირველი და მეორე დივიზიონები აქვთ, ხოლო რაიმენ ლიგას ოთხი დივიზიონი აქვს. უნიბონდის პირველი დივიზიონის გამარჯვებული კონფერენციაში ადის, ხოლო მეორე დივიზიონის სამი მაჩანჩალა მერვე დონის ნორთ ვესტ თრეინსის, ნორთერნ ქანთრი ისთის და ერნოთ ინშურანს ნორთერნ ლიგებში ქვეითდებიან.

ასევე კონფერენციაში ალზევდება დოქტორ მარტენის პირველი დივიზიონის ჩემპიონი, ხოლო მეორე დივიზიონის ფსკერზე მყოფნი ინტერლინკ ექსპრეს მიდლენდ ალიანსში, ულსპორტ იუნაიტედ ქანთრი ლიგაში, ჯეისონ ისტერნ ქანთრი ლიგაში, უინსტანლენტ კენტ ლიგაში, სკრეუფიქს დირექტ ვესტერნ ლიგაში, ჯეისონ ესექს ლიგაში, კომპლეით მუზიკ ელენიკ ლიგაში და უნიჯექტ სასექს ქანთრი ლიგებში ქვეითდებიან. ესენი მერვე დონის დივიზიონებია. ამათ უმრავლესობას ქვედა დონე აღარ აქვთ. ინტერლინკ ექსპრეს მადლენდს მოსდევს მეცხრე დონის ბენქს ბრევერი ვესტ მიდლენდს ლიგა, ენდსლეი მიდლენდ ფუტბოლ კომბინეიშენი და ევერარდს ბრეგერი ლესტერშირ სენიორ ლიგა. უინსტანლენდ კენტს მოსდევს ასევე მეცხრე დონის ნაქლაირ ელექტრიკ კენტ ქანთრი ლიგა. ჯეისონ ექსექსის ქვემოთ კი არიან: ქლაბსეივერ დირექტ ჰემფშირ ლიგა და დორსეტ ქომბინეიშენი.

რაიმენ ლიგას, როგორც ვთქვით, ოთხი დივიზიონი აქვს. ამათგან მეოთხეს სამი ბოლო გუნდი ქვეითდება სპარტან საუთ მიდლენდს, ქომბაინდ ქანთრი და ესექს სენიორ ლიგებში. ესენი მეათე დონის დივიზიონები არიან და ზემოთ მოყოლილი ამბავიც, გახელებული გულშემატკივრის შესახებ, ალბათ, ამათგან ერთ-ერთში მოხდა.

საკმაოდ ძნელია ინგლისურ დივიზიონებში გარკვევა, არა?

ახლა ორიოდე სიტყვა ფულზეც ვთქვათ. განთქმულმა აუდიტორულმა კომპანიამ DELOITTE AND TOUCHE დაითვალა, რომ ინგლისის ჩემპიონატი (ყველა დივიზიონის ჩათვლით) წელიწადში ერთ მილიარდ გირვანქა მოგებას იძლევა. ეს ნიშნავს, რომ იქაური ჩემპიონატი ყველაზე სარფიანია მსოფლიოში. გავიხსენოთ, რომ ინგლისშივეა მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედიც“.

საინტერესოა, რომ შემოსავლების საერთო ზრდის ფონზე კლუბების მოგება არცთუ მნიშვნელოვნად იზრდება, რისი მიზეზიც ხელფასების არანორმალური ზრდაა. დღეს ინგლისში მხოლოდ სამი კლუბია, რომელთა ხელფასის ფონდიც მთლიანი ბიუჯეტის ნახევარზე ნაკლებს შეადგენს. ეს კლუბებია — „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლიდს იუნაიტედი“ და „უოტფორდი“.




თუმცა ხელფასების ზრდის ტენდენცია ინგლისში და არამარტო იქ, კარგა ხანია შეინიშნება. აი, ამ ზაფხულში კი პირველად მოხდა, რომ იქაურმა კლუბებმა უცხოელი ფეხბურთელების საყიდლად უფრო მეტი ფული დახარჯეს, ვიდრე ბრიტანელებში: 182 მილიონი გირვანქა — უცხოელებში და 158 მილიონი — ბრიტანელებში. უცხოელებში გადახდილი ფული მთლიანი თანხის 59 პროცენტს შეადგენს.

აქვ, ურიგო არ უნდა იყოს, თუ ინგლისის უძვირეს ტრანსფერებსაც გავიხსენებთ: პირველობა „ლაციოდან“ „მანჩესტერში“ 28,1 მილიონ გირვანქად გადასულ ხუან სებასტიან ვერონს ეკუთვნის. მას მოსდევს ამავე გუნდში 19 მილიონად გადასული რუუდ ვან ნისტელროი, რომელიც იქამდე პსვ-ში თამაშობდა. 11 მილიონად გაიყიდნენ ფრენკ ლამპარდი და რობი კინი, რომელთა ახალი გუნდები „ვესტ ჰემი“ და „ლიდსია“. ევერტონელი ფრენსის ჯეფერსი კი „არსენალმა“ ათ მილიონად იყიდა. ნახევარი მილიონით ნაკლები დაუჯდა „ნიუკასლს“ პსჟ-დან ლორან რობერის გადაბირება. „არსენალმა“ 8,5 მილიონად იყიდა რეინჯერსელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, ხოლო „ჩელსიმ“ ერთნაირად — 7,5 მილიონად შეაფასა ემანუელ პეტი და ბუდევინ ზენდენი.

პრემიერლიგის დაწყებისთვის, რა გასაკვირია და ბუქმეიკერებიც ემზადებიან და აზარტის მოყვარულებს მომავალი ჩემპიონის ვინაობის გამოცნობას სთავაზობენ. საბუქმეიკერო კანტორებიდან ყველაზე ცნობილმა „უილიამ ჰილმა“ ჩემპიონობაზე გუნდებს ასეთი კოეფიციენტები დაუწერა:

| | |
|---|---|
| **მანჩესტერ იუნაიტედი** | 1.72 |
| **ლივერპული** | 5.5 |
| **არსენალი** | 5.5 |
| **ლიდსი** | 8.0 |
| **ჩელსი** | 12.0 |
| **ტოტენჰემი** | 81.0 |
| **ფულემი** | 81.0 |
| **ასტონ ვილა** | 81.0 |
| **სანდერლენდი** | 101.0 |
| **ნიუკასლი** | 126.0 |
| **იფსვიჩი** | 126.0 |
| **ბლექბერნი** | 201.0 |
| **ვესტ ჰემი** | 351.0 |
| **მიდლსბრო** | 351.0 |
| **ევერტონი** | 501.0 |
| **ჩარლტონი** | 501.0 |
| **საუთჰემპტონი** | 751.0 |
| **ლესტერი** | 751.0 |
| **დერბი ქაუნთი** | 1001.0 |
| **ბოლტონი** | 1001.0 |

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ბუქმეიკერები პრემიერლიგის გუნდებს სამ ჯგუფად ყოფენ: „მანჩესტერი“ — უდავო ფავორიტი, „ლივერპული“, „არსენალი“ „ლიდსი“ და „ჩელსი“ — ჩემპიონობისთვის მებრძოლნი და ყველა დანარჩენი. ქვემოთ ფავორიტებზე ვილაპარაკოთ.



ცეკვა მანჩესტერული

### მანჩესტერ იუნაიტედი

გუნდი, რომელმაც წინა ცხრა სეზონში შვიდჯერ მოიპოვა ჩემპიონობა, გვარიანად გაძლიერდა და იმის მიღწევა სურს, რაც ინგლისში აქამდე არავის გაუხერხებია — პრემიერლიგის ზედიზედ მეოთხედ მოგება. ამაში მანჩესტერელებს რუუდ ვან ნისტელროი და ხუან სებასტიან ვერონიც უნდა დაეხმარონ. აღსანიშნავია, რომ სეზონის ბოლოს გუნდს ტოვებს სერ ალექს ფერგიუსონი, რომელიც მეთექვსმეტე მანჩესტერული სეზონისთვის ემზადება და ცხადია, გამარჯვებულს სურს წასვლა.

### ლივერპული

ლიგის, ასოციაციის, უეფას თასებისა და „ჩარითი შილდის“ მომგებნი, ცხადია, პრემიერლიგის მოგებაზეც ოცნებობენ, მით უმეტეს, რომ 1990 წლის მერე ჩემპიონები არ ყოფილან. ლივერპულელებს ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე დიდად არ უაქტიურიათ და მხოლოდ ნორვეგიელი იონ არნე რიისესა და ჩეხი მილან ბაროშის ყიდვას დასჯერდნენ. ჟერარ ულიეს უფრო ძველების იმედი აქვს და სტივენ ჯერარდი, მაიკლ ოუენი და ემილ ჰესკი ტრავმებმა თუ არ გატანჯა, ვინ იცის... ისე, გავიხსენოთ, რომ „ლივერპულმა“ „მანჩესტერს“ ბოლო სამი შეხვედრა მოუგო.

### არსენალი

ლონდონელებს დიდი დახმარება გაუწია ბოსმანის წესმა, რომლის დახმარებითაც უფასოდ გადაიბირეს სოლ კემპბელი, რომლის კლასზე ლაპარაკი ზედმეტი უნდა იყოს. ასევე ზედმეტია, პატრიკ ვიეირას ძალაზე ლაპარაკიც, რომელიც ბევრის აზრით მსოფლიოში საუკეთესო ნახევარმცველია. მცოდნე ხალხს ცოტა არ იყოს აეჭვებთ, რამდენად გამართლებული იყო ფრენსის ჯეფერსში დიდძალი ფულის გადახდა, მაგრამ იმასაც ამბობენ, არსენ ვენგერის დარი აღმზრდელის ხელში ყმაწვილი თავდამსხმელი გაიბრწყინებსო და მაგალითად ტიერი ანრი მოჰყავთ.

### ლიდს იუნაიტედი

დევიდ ოლირის ყმაწვილები დალონებულები ხვდებიან ახალ სეზონს, რაკილა გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტები ლიგაში აღარ არიან. თუმც ერთი მხრივ, ეს ურიგო არცაა, რაკი ერთდროულად ორ ფრონტზე ბრძოლა უფრო ძლიერ და გამოცდილ გუნდებსაც უჭირთ. სასიხარულო ამბავი ის არის, რომ მაიკლ ბრიჯისი გამოჯანმრთელებულა, ის კი გუნდისთვის დიდი ძალაა.

### ჩელსი

გასული სეზონის წინ ბევრი ფიქრობდა, რომ დასავლეთ ლონდონელები ჩემპიონობას შეწვდებოდნენ. მაგრამ ამათი საქმე ისე წავიდა, რომ მეჩვიდმეტე ადგილამდეც დაეშვნენ, რამაც ჯანლუკა ვიალი შეიწირა. კლაუდიო რანიერის მისვლით გუნდს სტაბილურობა დაეტყო და საბოლოოდ მეექვსე ადგილზე დარჩა. მისი ქომაგები ფიქრობენ, რომ რანიერიმ ვიალის გაფუჭებული საქმის გამოსწორება თუ შეძლო, ეგებ ჩემპიონობაც გაახერხოსო. ამ სურვილს საფუძვლად ისიც უდევს, რომ ლონდონელები უილიამ გალასით, ფრენკ ლამპარდით, ემანუელ პეტით და ბუდევინ ზენდენით გაძლიერდნენ.

ბოლოს კი ცოტაოდენი ისტორია და სტატისტიკა.

ინგლისის უმაღლეს დივიზიონში ყველაზე მეტი სეზონი „ევერტონს“ გაუტარებია (96). მეორეა — „ასტონ ვილა“ (90), მესამე — „ლივერპული“ (86). სულ კი უმაღლეს დივიზიონში 61 გუნდს უთამაშია.

ყველა სეზონის ცხრილები რომ შევკრიბოთ, მივიღებთ, რომ ყველაზე მეტი ქულა „ლივერპულს“ აქვს. მას „ევერტონი“ და „არსენალი“ მოსდევენ.

სულ პირველი ჩემპიონატი კი 1888-89 წლებში გაიმართა, თორმეტგუნდა იყო და „პრესტონმა“ მოიგო. იმ ჩემპიონატის მონაწილეთაგან ახლა პრემიერლიგაში ხუთია — „ასტონ ვილა“, „ბლექბერნი“, „ბოლტონი“, „ევერტონი“ და „დერბი ქაუნთი“.

**გიორგი დარჯანია**

# ინგლისის პრემიერლიგა
# 2001-2002 ყველა გუნდის განაცხადი

## მანჩესტერ იუნაიტედი

### მეკარეები
1 ფაბიენ ბარტეზი
17 რაიმონდ ვან დერ გოუ
33 პოლ რაჩუბკა
როი კეროლი

### მცველები
2 გარი ნევილი
3 დენის ირვინი
5 რონი იონსენი
6 იაპ სტამი
12 ფილიპ ნევილი
22 რონი უოლვორკი
23 მაიკლ კლეგი
24 უესლი ბრაუნი
27 მიკაელ სილვესტრი
30 ჯონ ოში
დევიდ მეი

### ნახევარმცველები
4 ხუან სებასტიან ვერონი
7 დევიდ ბექემი
8 ნიკი ბათი
11 რაიან გიგზი
15 იესპერ ბლომკვისტი
16 როი კინი
18 პოლ სქოულზი
25 კვინტონ ფორჩუნი
28 მაიკლ სტიუარტი
31 დარენ ფლეტჩერი
32 ბოჟან ჯორდიჩი
36 ლუკ ჩედვიკი
ჯიმი დევისი

### თავდამხმელები
9 ენდი კოული
10 რუუდ ვან ნისტელროოი
19 დუაიტ იორკი
20 ოლე გუნარ სოლსკიაერი
37 დენი ვებერი

მწვრთნელი
ალექს ფერგიუსონი

## ლივერპული

### მეკარეები
1 სანდერ ვესტერფელდი
19 პეგი არპეშადი
26 იორგენ ნილსენი

### მცველები
2 სტეფან ანშო
6 მარკუს ბაბელი
12 სემი ჰიიპია
14 ვეგარდ ჰეგემი
23 ჯეიმი კარაგერი
27 გრეგორი ვინალი
29 სტივენ რაიტი
30 ჯიმი ტრაორე
31 ფროდე კიპე
იონ არნე რიისე

### ნახევარმცველები
7 ვლადიმირ შმიცერი
11 ჯეიმი რედნაპი
13 დენი მერფი
16 დიტმარ ჰამანი
17 სტივენ ჯერარდი
20 ნიკ ბარმბი
21 გარი მაკალისტერი
24 ბერნარ დიომედი
25 იგორ ბისკანი
28 რიჩი პარტრიჯი
33 ალან ნავარო
მილან ბაროში

### თავდამსხმელები
8 ემილ ჰესკი
9 რობი ფაულერი
10 მაიკლ ოუენი
15 პატრიკ ბერგერი
34 დანიელ სიოლუნდი
37 იარი ლიტმანენი

მწვრთნელი
ჟერარ ულიე

## იფსვიჩ თაუნი

### მეკარეები
1 ენდი მარშალი
13 მაიკ სალმონი
21 კეიტ ბრანაგანი
26 ჯეიმს პალემი
მატეო სერენი

### მცველები
2 ფაბიან უილნისი
3 ჯეიმი კლაპამი
4 ჯონ მაკგრილი
5 ჰერმან ჰრეიდარსონი
6 მარკ ვენუსი
15 კრის მაკინი
16 გარი კროფტი
17 უეინ ბრაუნი
19 ტიტუს ბრემბლი
31 ამირ კარიჩი

### ნახევარმცველები
7 ჯიმ მეჯილტონი
8 მეტ ჰოლანდი
14 ჟერმან რაიტი
24 ნაბილ აბიდალაჰი
29 ჯასტინ მილერი
30 მარტინ როიზერი
ჯორჯ ფინიდი

### თავდამსხმელები
9 პაბლო გონსალეს კუნაგო
10 ალან არმსტრონგი
11 მარკუს სტიუარტი
12 რიჩარდ ნეილორი
20 რიჩარდ ლოგანი
22 ტომი მილერი
23 გილერმო გრაავენი
25 ეშლი ნიკოლსი

მწვრთნელი
ჯორჯ ბარლი

## სანდერლენდი

### მეკარეები
1 ტომას სორენსენი
30 იურგენ მახო

### მცველები
2 ბერნტ ჰაასი
3 მაიკლ გრეი
5 სტანისლავ ვარგა
6 ემერსონ ტომე
17 ჯოდი კრადოკი
18 დარენ უილიამსი
24 ჯორჯ მაკკარტნი
25 მარკ მეილი
31 ბენ კლარკი
32 ბაკი მერჩიმეკი
33 ჯულიო არკა

### ნახევარმცველები
4 დონ ჰატჩისონი
8 გევინ მაკკენი
11 კევინ კილბეინი
14 ნიკოლას მედინა
16 ალექს რაე
20 სტეფან შვარცი
21 პოლ ტირლველი
23 კრის ლამსდონი
26 თომას ბატლერი
28 ჯონ ოსტერი
29 ტომ პეეტერსი
37 ნაილ უეინრაიტი

### თავდამსხმელები
7 ლილიან ლასლანდი
9 ნაილ ქუინი
10 კევინ ფილიპსი
12 დანიელე დიჩიო
15 დავიდ ბელიონი
19 კევინ კილე
27 მაიკლ რედი

მწვრთნელი
პიტერ რიდი

## ჩარლტონ ატლეტიკი

### მეკარეები
1 დინ კელი
13 საშა ილიჩი
22 ბენ რობერტსი

### მცველები
2 რადოსტინ კიშიშევი
3 კრის პაუელი
5 რიჩარდ რუფუსი
6 ენდი ტოდი
12 სტივ ბრაუნი
15 ედი იანდსი
16 გრეგ შილდსი
19 ლუკ იანგი
24 ჯონათან ფორტუნი
32 დან შიტუ
36 მარკ ფიში

### ნახევარმცველები
4 გრემ სტიუარტი
8 მარკ კინსელა
11 ჯონ რობინსონი
17 სკოტ პარკერი
18 პოლ კონჩესკი
20 კლაუს იენსენი
23 გევინ პიკოკი
დეივ კოლიზი

### თავდამსხმელები
9 ჯეისონ იუელი
10 კლაივ მენდონკა
14 მარტინ პრინგლი
21 ჯონათან იოჰანსონი
26 მატიას სვენსონი
28 ჯონ სალაკო
29 კევინ ლისბი
37 შონ ბარტლეტი
მარკ დებოლა
ჩარლი მაკდონალდი

მწვრთნელი
ალან კერბიშლი

## არსენალი (ლონდონი)

### მეკარეები
1 დევიდ სიმენი
13 ალექს მანინგერი
24 რიჩარდ რაიტი
31 სტიუარტ ტეილორი

### მცველები
2 ლი დიქსონი
3 ეშლი კოული
5 მარტინ კიოუნი
6 ტონი ადამსი
18 ჟილ გრიმანდი
20 მეთიუ აპსონი
22 ოლეგ ლუჟნი
23 სოლ კემპბელი
26 იგორს სტეპანოვსი
ჟუნიორ სილვინიო
სებასტიან სვარდი
მორიც ვოლცი

### ნახევარმცველები
4 პატრიკ ვიეირა
7 რობერ პირესი
8 ფრედერიკ ლიუნგბერგი
12 ლორენ ეტამაიერი
15 რეი პარლოუ
16 ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი
17 ედუარდო გასპარ ედუ
19 იუნიჩი ინამოტო
21 ჟერმან პენანტი

### თავდამსხმელები
9 ფრენსის ჯეფერსი
10 დენის ბერხკამპი
11 სილვენ ვილტორდი
14 ტიერი ანრი
25 ნვანკვო კანუ
28 გრემ ბარეტი
ჯონათან ოსეი კუფური

მწვრთნელი
არსენ ვენგერი

## ლიდს იუნაიტედი

### მეკარეები
1 ნაიჯელ მარტინი
13 პოლ რობინსონი
26 დენი მილოშევიჩი

### მცველები
2 გარი კელი
3 იან ჰარტი
5 ლუკას რადებე
6 ჯონათან ვუდგეიტი
18 დენი მილსი
21 დომინიკ მატეო
22 მაიკლ დაბერი
24 დენი ჰეი
27 ალან მაიბერი
29 რიო ფერდინანდი

### ნახევარმცველები
4 ოლივიე დაკური
11 ლი ბოიერი
14 სტივენ მაკფეილი
19 ერიკ ბაკე
23 დევიდ ბეტი
25 ჯეკობ ბარნსი
28 ჯეიმი მაკმასტერი
33 უესლი ბოილი

### თავდამსხმელები
7 რობი კინი
8 მაიკლ ბრიჯისი
9 მარკ ვიდუკა
10 ჰარი კიუელი
16 ჯეისონ უილკოქსი
17 ალან სმიტი

მწვრთნელი
დევიდ ოლირი

## ჩელსი (ლონდონი)

### მეკარეები
1 ედ დე გუი
23 კარლო კუდიჩინი
31 მარკ ბოსნიჩი

### მცველები
3 სელესტინ ბაბაიარო
6 მარსელ დესაი
13 უილიამ გალასი
14 გრემ ლე სო
15 მარიო მელხიოტი
26 ჯონ ტერი
უინსტონ ბოგარდი
ალბერტ ფერერი

### ნახევარმცველები
8 ფრენკ ლამპარდი
10 სლავიშა იოკანოვიჩი
11 ბუდევინ ზენდენი
16 რობერტო დი მატეო
17 ემანუელ პეტი
20 ჯოდი მორისი
30 იესპერ გრონკიაერი
გაბრიელე ამბროზეტი
სემ დალა ბონა

### თავდამსხმელები
9 ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი
12 მარიო სტანიჩი
22 ეიდურ გუდიონსენი
25 ჯანფრანკო ძოლა
32 მიკაელ ფორსელი
რატი ალექსიძე
სემ პარკინი

მწვრთნელი
კლაუდიო რანიერი

## ასტონ ვილა (ბირმინგემი)

### მეკარეები
1 პიტერ შმაიხელი
12 პეტერ ენკელმანი

### მცველები
2 მარკ დილანი
3 ალან რაიტი
4 ოლოფ მელბერგი
11 სტივ სტონტონი
15 გარეთ ბერი
25 ჯონათან ბრაუერსი
31 ჯიმი ლოიდ სამუელი

### ნახევარმცველები
6 ჯორჯ ბოატენგი
7 იან ტეილორი
14 დავიდ ჟინოლა
17 ლი ჰენდრი
18 სტივ სტოუნი
20 მუსტაფა ჰაჯი
27 მაიკლ სტენდინგი
29 სტივენ კუკი
30 ჰასან კაჩლოული
ჯონ მაკგრათი

### თავდამსხმელები
8 ხუან პაბლო ანხელი
9 დიონ დაბლინი
10 პოლ მერსონი
22 დარიუს ვასელი
ნაილ ტარანტი
რიჩარდ უოქერი

მწვრთნელი
ჯონ გრეგორი

## საუთჰემპტონი

### მეკარეები
1 პოლ ჯოუნსი
13 ნაილ მოსი

### მცველები
2 ჯეისონ დოდი
3 უეინ ბრიჯი
5 კლაუს ლუნდეკვამი
15 ფრენსის ბენალი
20 ტაჰერ ელ ხალეჯი
24 დან პეტრესკუ
25 გარი მონკი
31 რაიან ეშფორდი
ჯონათან-პოლ მილსი

### ნახევარმცველები
4 კრის მარსტენი
8 მეთიუ ოკლი
14 სტიუარტ რიპლი
12 ანდერს სვენსონი
16 მარკ დრეიპერი
18 რორი დელაპი
21 ჯო ტესემი
26 იმანტას ბლეიდელისი
28 კევინ გიბენსი
29 პოლ მიურეი

### თავდამსხმელები
7 მეტიუ ლე ტისიე
9 ჯეიმს ბიტი
10 კევინ დევისი
11 უვე როსლერი
17 მარიანს პახარსი
23 ჯაჩინტო ელა ეიენი
ჯეი ლუკასი
დენი როდრიგესი

მწვრთნელი
სტიუარტ გრეი

# ინგლისის პრემიერლიგა
## 2001-2002 ყველა გუნდის განაცხადი

### ნიუკასლ იუნაიტედი

**მეკარეები**
1 შეი გივენი
13 სტივ ჰარპერი
29 ჯონ კარელსე

**მცველები**
2 უორენ ბარტონი
3 რობი ელიოტი
5 ენდრიუ ობრაიენი
12 ენდი გრიფინი
14 უეინ ქუინი
15 მარსელინიო ელენა
18 აარონ ჰიუზი
27 დევიდ ბეჰეროლი
30 სტივენ კოლდუელი
34 ნიკოს დაბიზასი
35 ოლივიე ბერნარი
36 გარი კოლდუელი

**ნახევარმცველები**
4 ნოლბერტო სოლანო
6 კლარენს აკუნია
7 რობერტ ლი
8 კირონ დაიერი
10 კრისტიან ბასედასი
11 გარი სპიდი
21 დიეგო გავილანი
22 ჯეიმი მაკლენი
25 ბრაიან კერი
31 სტიუარტ გრინი
33 პედრო დიმაში

**თავდამსხმელები**
9 ალან შირერი
16 კარლ კორტი
17 კრეიგ ბელამი
20 ლომანა ტრეზორ ლუა-ლუა
23 შოლა ამეობი
26 ჯეიმს კოპინგერი
32 ლორან რობერი
37 კოლი მაკმენამინი

**მწვრთნელი**
ბობი რობსონი

### ლესტერ სიტი

**მეკარეები**
1 ტიმ ფლაუერსი
12 საიმონ როისი
16 იან უოქერი

**მცველები**
2 გარი როუეტი
3 ფრენკ სინკლერი
4 გერი ტაგარტი
14 კალუმ დავიდსონი
15 დემიენ დილანი
18 მეტ ელიოტი

**ნახევარმცველები**
6 მაზი იზეტი
7 მეთიუ ჯოუნსი
8 რობი სევიჯი
11 დენის უაიზი
17 სტივენ ოუქსი
24 ენდრიუ იმპი
25 ჯუნიორ ლუისი
26 ლი მარშალი

**თავდამსხმელები**
9 დარენ იდი
10 ჯეიმს სკოუკროფტი
13 არნარ გუნლაუგსონი
20 ტრევორ ბენჯამინი
21 დინ სტარიჯი
22 ადე აკინბაი
კევინ ელისონი

**მწვრთნელი**
პიტერ ტეილორი

### ვესტ ჰემ იუნაიტედი

**მეკარეები**
1 შაკა ჰისლოპი
22 კრეიგ ფორესტი
32 სტივენ ბივატერი
დევიდ ჯეიმსი

**მცველები**
2 გარი ჩარლზი
4 სტივენ პოტსი
7 კრისტიან დეილი
15 რიგობერტ სონგი
17 ნაიჯელ უინტერბერნი
19 იან პირსი
20 სკოტ მინტო
30 სებასტიან შემელი
36 რაგნვალდ სომა
37 შონ ბირნი

**ნახევარმცველები**
8 ტრევორ სინკლერი
11 სტივ ლომასი
16 ჯონ მონკუ
21 მაიკლ კარიკი
24 კრისტიან ბასილა
26 ჯო კოული
გრანტ მაკკენი
ლორან კურტუა

**თავდამსხმელები**
10 პაოლო დი კანიო
12 პოლ კიტსონი
14 ფრედერიკ კანო
25 კაბა დიავარა
29 აბუბაქარ „ტიტი" კამარა
28 სვეტოსლავ ტოდოროვი
ჟერმან დეფო
ომერ რიზა

**მწვრთნელი**
გლენ რიოდერი

### დერბი ქაუნთი

**მეკარეები**
1 მარტ პოომი
24 ენდი ოუქსი

**მცველები**
2 ხორაციო კარბონარი
3 ბრაიან ონილი
5 ბიორნ ოტო ბრაგსტადი
6 კრის რიგოტი
15 დენი ჰიგინბოთემი
18 რიჩარდ ჯექსონი
19 სტივ ელიოტი
22 დანიელე დაინო
27 კოლ ბლეტსისი
29 იან ევატი

**ნახევარმცველები**
4 დერილ პაუელი
7 სეტ ჯონსონი
8 კრეიგ ბარლი
10 გიორგი ქინქლაძე
16 სიმო ვალაკარი
20 სტეფანო ერანიო
21 ადამ მიურეი
23 პოლ ბოერტიენი
31 ადამ ბოლდერი

**თავდამსხმელები**
9 დეონ ბარტონი
11 ფაბრიციო რავანელი
12 მალკოლმ კრისტი
14 ლი მორისი
25 ბრანკო შტრუპარი
26 მარვინ რობინსონი

**მწვრთნელი**
ჯიმ სმიტი

### ბლეკბერნ როვერსი

**მეკარეები**
1 ბრედ ფრიდელი
13 ჯონ ფილანი
23 ალან კელი
27 ალან მილერი

**მცველები**
2 ჯონ კერტისი
3 ჰენინგ ბერგი
5 სტიგ ინგე ბიორნებიუ
6 კრეიგ შორტი
17 ჯეისონ მაკატირი
22 ჯეფ კენა
25 საიმონ გრეისონი
28 მარტინ ტეილორი
29 მარლონ ბრუმსი
30 გორდონ გრეერი

**ნახევარმცველები**
4 თუგაი ქერიმოღლუ
7 გარი ფლიტკროფტი
8 დევიდ დანი
11 დემიენ დაფი
16 ალან მაჰონი
18 კეიტ გილესპი
19 დემიენ ჯონსონი
მარკ რიჩარდსი

**თავდამსხმელები**
9 მარკუს ბენტი
10 მეტ იანსენი
12 მარკ ჰიუზი
14 ნათან ბლეიქი
15 კრეიგ ჰინეტი
20 ეგილ ოსტენსტადი
21 კორადო გრაბი
26 ჯეიმს ტომასი
ბენჯამინ ბურგესი

**მწვრთნელი**
გრემ სუნესი

### ტოტენჰემ ჰოტსპური

**მეკარეები**
1 ნილ სალივანი
13 კეისი კელერი

**მცველები**
2 სტივენ კარი
3 მაურისიო ტარიკო
5 გორან ბუნიევჩევიჩი
6 კრის პერი
12 გარი დოჰერტი
18 ბენ ტეტჩერი
23 კრისტიან ციგე
26 ლედლი კინგი
30 ენტონი გარდნერი
31 ელტონ ტელველი
დინ რიჩარდსი

**ნახევარმცველები**
4 შტეფან ფროინდი
7 დარენ ანდერტონი
8 ტიმ შერვუდი
14 გუსტავო პოიეტი
17 ოივინდ ლეონარდსენი
25 სტივენ კლემენსი
28 მეთიუ ეზერინგთონი
29 საიმონ დევისი
36 იან ილიე
37 ჯონ პიერსი

**თავდამსხმელები**
9 ლეს ფერდინანდი
10 ტედი შერინგემი
11 სერგეი რებროვი
15 ვილემ კორსტენი
16 სტეფან ივერსენი
19 კრის არმსტრონგი
45 სტივ ფერგიუსონი
იანიკ კამანანი
დევიდ მაკივენი

**მწვრთნელი**
გლენ ჰოდლი

### მიდლსბრო

**მეკარეები**
1 მარკ შვარცერი
15 მარლონ ბერესფორდი
25 მარკ კროსლი
34 კრის ბენიონი

**მცველები**
2 კურტის ფლემინგი
3 დინ გორდონი
4 სტივ ვიკერსი
5 ჯანლუკა ფესტა
6 გარეთ საუთგეიტი
17 უგო ეჰიოგუ
27 რობი სტოკდეილი
28 კოლინ კუპერი
29 ჯეისონ გევინი
32 სტივ ბაკერი

**ნახევარმცველები**
7 რობი მასტო
9 პოლ ინსი
12 ჯონათან გრინინგი
14 პოლ ოკონი
21 მარკ უილსონი
22 მარკ სამერბელი
23 კარლოს მარინელი
24 ფილ სტამპი
33 ენტონი ორმეროდი

**თავდამსხმელები**
8 შილარდ ნემეტი
10 ბრაიან დინი
11 ალენ ბოკშიჩი
16 ჟოზეფ-დეზირე ჟობი
19 ამილტონ რიკარდი
20 დინ უინდასი
26 ნოელ ველანი

**მწვრთნელი**
სტივენ მაკლარენი

### ევერტონი (ლივერპული)

**მეკარეები**
1 პოლ ჟერარი
13 სტივ სიმონსენი
26 თომას მირე

**მცველები**
2 სტივ უოტსონი
3 ალესანდრო პისტონე
4 ალან სტაბსი
5 დევიდ ვეირი
6 დევიდ ანსუორთი
12 მაიკლ ბოლი
15 გარი ნეისმიტი
20 ალექს კლილენდი
24 აბელ შავიერი

**ნახევარმცველები**
7 ნიკოლას ალექსანდერსონი
11 მარკ პემბრიჯი
14 იდან ტალი
16 თომას გრაველსენი
17 სკოტ ჯემილი
18 პოლ გესქოინი

**თავდამსხმელები**
8 ტომაშ რაძინსკი
9 კევინ კემპბელი
10 დანკან ფერგიუსონი
19 ჯო-მაქს მური
21 დენი კადამარტერი

**მწვრთნელი**
უოლტერ სმიტი

### ფულემი (ლონდონი)

**მეკარეები**
1 ედვინ ვან დერ სარი
12 მარკ ტეილორი
30 გლენ ტომპსონი
32 მარკუს ჰაშნემანი

**მცველები**
2 სტივ ფინანი
3 რუფუს ბრევეტი
4 ენდრიუ მელვილი
5 კრის კოულმენი
6 კიტ საიმონსი
7 ჯონ ჰარლი
16 ზატ ნაითი
24 ალენ გომა
25 აბდესლამ უადუ
35 კიერან მაკენესპი
36 მარკ ჰადსონი

**ნახევარმცველები**
8 ლი კლარკი
10 ჯონ კოლინზი
14 სტედ მალბრანტი
19 ბიარნე გოლდბეკი
23 შონ დევისი
29 პოლ ტროლოპი
31 ედი ლუისი

**თავდამსხმელები**
15 ბარი ჰეილსი
20 ლუის საჰა
22 ლუიშ ბოა მორტე
26 კევინ ბეტსი
33 კალუმ უილოკი
34 ელვის ჰამონდი
38 ლუკ კორნუოლი
40 ანდრეის შტოლცერსი

**მწვრთნელი**
ჟან ტიგანა

### ბოლტონ უონდერერსი

**მეკარეები**
1 სტივ ბენქსი
22 ჯუსი იასკელაინენი
34 ტომი რაიტი

**მცველები**
3 მაიკ უიტლოუ
4 გუდნი ბერგსონი
13 ჯონ გოპი-ფეიპეი
24 ენტონი ბერნესი
25 საიმონ ჩარლტონი
26 ლემ რიჩარდსონი
30 კოლინ ჰენდრი
ჯიბრილ დიავარა

**ნახევარმცველები**
5 პოლ ვარჰურსტი
7 ნიკი საუთჰოლი
8 პერ ფრანდსენი
11 რიკარდო გარდნერი
12 დინ ჰოლდენი
14 გარეთ ფარელი
15 კევინ ნოლანი
რაიან ბალდაჩინო
ჯეფ სმიტი

**თავდამსხმელები**
9 ბო ჰანსენი
10 დინ ჰოლდსუორთი
17 მაიკლ რიკეტსი
18 პოლ უიტკროფტი
19 დევიდ ნორისი
23 მიშელ კარპილიონი
28 იან მარშალი
31 ემანუელ მორინი
ჰენრიკ პედერსენი
აკინორი ნიშიზავა

**მწვრთნელი**
სემ ოლიარდისი

# ინგლისის პრემიერლიგა 2001 - 2002



წლეულს „ლივერპულის“ ფანობა პრემიერლიგის მოგებას ითხოვს

**I ტური. 18 აგვისტო, 2001**

ჩარლტონი - ევერტონი
ჩელსი - ნიუკასლი
დერბი - ბლეკბერნი
ლიდსი - საუთჰემპტონი
ლესტერი - ბოლტონი
ლივერპული - ვესტ ჰემი
მანჩესტერი - ფულემი
მიდლსბრო - არსენალი
სანდერლენდი - იფსვიჩი
ტოტენჰემი - ასტონ ვილა

**II ტური. 21 აგვისტო**

არსენალი - ლიდსი
ბოლტონი - მიდლსბრო
იფსვიჩი - დერბი

**22 აგვისტო**

ასტონ ვილა - ჩარლტონი
ბლეკბერნი - მანჩესტერი
ევერტონი - ტოტენჰემი
ფულემი - სანდერლენდი
ნიუკასლი - ლესტერი
ვესტ ჰემი - ჩელსი

**III ტური. 25 აგვისტო**

არსენალი - ლესტერი
ასტონ ვილა - მანჩესტერი
ბლეკბერნი - ტოტენჰემი
ევერტონი - მიდლსბრო
ფულემი - დერბი
იფსვიჩი - ჩარლტონი
ნიუკასლი - სანდერლენდი
საუთჰემპტონი - ჩელსი
ვესტ ჰემი - ლიდსი

**27 აგვისტო**

ბოლტონი - ლივერპული

**IV ტური. 8 სექტემბერი**

ჩარლტონი - ფულემი
ჩელსი - არსენალი
დერბი - ვესტ ჰემი
ლიდსი - ბოლტონი
ლესტერი - იფსვიჩი
ლივერპული - ასტონ ვილა
მანჩესტერი - ევერტონი
მიდლსბრო - ნიუკასლი
სანდერლენდი - ბლეკბერნი
ტოტენჰემი - საუთჰემპტონი

**V ტური. 15 სექტემბერი**

ასტონ ვილა - სანდერლენდი
ბოლტონი - საუთჰემპტონი
ჩარლტონი - ლიდსი
დერბი - ლესტერი
ევერტონი - ლივერპული
ფულემი - არსენალი
იფსვიჩი - ბლეკბერნი
მიდლსბრო - ვესტ ჰემი
ნიუკასლი - მანჩესტერი
ტოტენჰემი - ჩელსი

**VI ტური. 18 სექტემბერი**

არსენალი - ნიუკასლი
ლიდსი - ევერტონი
სანდერლენდი - ტოტენჰემი

**19 სექტემბერი**

ბლეკბერნი - ბოლტონი
ჩელსი - ჩარლტონი
ლესტერი - მიდლსბრო
ლივერპული - ფულემი
მანჩესტერი - დერბი
საუთჰემპტონი - იფსვიჩი
ვესტ ჰემი - ასტონ ვილა

**VII ტური. 22 სექტემბერი**

არსენალი - ბოლტონი
ბლეკბერნი - ევერტონი
ჩელსი - მიდლსბრო
ლიდსი - დერბი
ლესტერი - ფულემი
ლივერპული - ტოტენჰემი
მანჩესტერი - იფსვიჩი
საუთჰემპტონი - ასტონ ვილა
სანდერლენდი - ჩარლტონი
ვესტ ჰემი - ნიუკასლი

**VIII ტური. 29 სექტემბერი**

ასტონ ვილა - ბლეკბერნი
ბოლტონი - სანდერლენდი
ჩარლტონი - ლესტერი
დერბი - არსენალი
ევერტონი - ვესტ ჰემი
ფულემი - ჩელსი
იფსვიჩი - ლიდსი
მიდლსბრო - საუთჰემპტონი
ნიუკასლი - ლივერპული
ტოტენჰემი - მანჩესტერი

**IX ტური. 13 ოქტომბერი**

ასტონ ვილა - ფულემი
ბლეკბერნი - ვესტ ჰემი
ბოლტონი - ნიუკასლი
ჩარლტონი - მიდლსბრო
ჩელსი - ლესტერი
იფსვიჩი - ევერტონი
ლივერპული - ლიდსი
საუთჰემპტონი - არსენალი
სანდერლენდი - მანჩესტერი
ტოტენჰემი - დერბი

**X ტური. 20 ოქტომბერი**

არსენალი - ბლეკბერნი
დერბი - ჩარლტონი
ევერტონი - ასტონ ვილა
ფულემი - იფსვიჩი
ლიდსი - ჩელსი
ლესტერი - ლივერპული
მანჩესტერი - ბოლტონი
მიდლსბრო - სანდერლენდი
ნიუკასლი - ტოტენჰემი
ვესტ ჰემი - საუთჰემპტონი

**XI ტური. 24 ოქტომბერი**

საუთჰემპტონი - ლივერპული

**27 ოქტომბერი**

ასტონ ვილა - ბოლტონი
ბლეკბერნი - ლესტერი
ჩარლტონი - ლივერპული
დერბი - ჩელსი
ევერტონი - ნიუკასლი
ფულემი - საუთჰემპტონი
იფსვიჩი - ვესტ ჰემი
მანჩესტერი - ლიდსი
სანდერლენდი - არსენალი
ტოტენჰემი - მიდლსბრო

**XII ტური. 3 ნოემბერი**

არსენალი - ჩარლტონი
ბოლტონი - ევერტონი
ჩელსი - იფსვიჩი
ლიდსი - ტოტენჰემი
ლესტერი - სანდერლენდი
ლივერპული - მანჩესტერი
მიდლსბრო - დერბი
ნიუკასლი - ასტონ ვილა
საუთჰემპტონი - ბლეკბერნი
ვესტ ჰემი - ფულემი

**XIII ტური. 17 ნოემბერი**

ასტონ ვილა - მიდლსბრო
ბლეკბერნი - ლივერპული
ჩარლტონი - ვესტ ჰემი
დერბი - საუთჰემპტონი
ევერტონი - ჩელსი
ფულემი - ნიუკასლი
იფსვიჩი - ბოლტონი
მანჩესტერი - ლესტერი
სანდერლენდი - ლიდსი
ტოტენჰემი - არსენალი

**XIV ტური. 24 ნოემბერი**

არსენალი - მანჩესტერი
ბოლტონი - ფულემი
ჩელსი - ბლეკბერნი
ლიდსი - ასტონ ვილა
ლესტერი - ევერტონი
ლივერპული - სანდერლენდი
მიდლსბრო - იფსვიჩი
ნიუკასლი - დერბი
საუთჰემპტონი - ჩარლტონი
ვესტ ჰემი - ტოტენჰემი

**XV ტური. 1 დეკემბერი**

ასტონ ვილა - ლესტერი
ბლეკბერნი - მიდლსბრო
ჩარლტონი - ნიუკასლი
დერბი - ლივერპული
ევერტონი - საუთჰემპტონი
ფულემი - ლიდსი
იფსვიჩი - არსენალი
მანჩესტერი - ჩელსი
სანდერლენდი - ვესტ ჰემი
ტოტენჰემი - ბოლტონი

**XVI ტური. 8 დეკემბერი**

არსენალი - ასტონ ვილა
ბლეკბერნი - ლიდსი
ჩარლტონი - ტოტენჰემი
დერბი - ბოლტონი
ფულემი - ევერტონი
იფსვიჩი - ნიუკასლი
ლესტერი - საუთჰემპტონი
ლივერპული - მიდლსბრო
მანჩესტერი - ვესტ ჰემი
სანდერლენდი - ჩელსი

**XVII ტური. 15 დეკემბერი**

ასტონ ვილა - იფსვიჩი
ბოლტონი - ჩარლტონი
ჩელსი - ლივერპული
ევერტონი - დერბი
ლიდსი - ლესტერი
მიდლსბრო - მანჩესტერი
ნიუკასლი - ბლეკბერნი
საუთჰემპტონი - სანდერლენდი
ტოტენჰემი - ფულემი
ვესტ ჰემი - არსენალი

**XVIII ტური. 22 დეკემბერი**

ჩარლტონი - ბლეკბერნი
ჩელსი - ბოლტონი
დერბი - ასტონ ვილა
ლიდსი - ნიუკასლი
ლესტერი - ვესტ ჰემი
ლივერპული - არსენალი
მანჩესტერი - საუთჰემპტონი
მიდლსბრო - ფულემი
სანდერლენდი - ევერტონი
ტოტენჰემი - იფსვიჩი

**XIX ტური. 26 დეკემბერი**

არსენალი - ჩელსი
ასტონ ვილა - ლივერპული
ბლეკბერნი - სანდერლენდი
ბოლტონი - ლიდსი
ევერტონი - მანჩესტერი
ფულემი - ჩარლტონი
იფსვიჩი - ლესტერი
ნიუკასლი - მიდლსბრო
საუთჰემპტონი - ტოტენჰემი
ვესტ ჰემი - დერბი

**XX ტური. 29 დეკემბერი**

არსენალი - მიდლსბრო
ასტონ ვილა - ტოტენჰემი
ბლეკბერნი - დერბი
ბოლტონი - ლესტერი
ევერტონი - ჩარლტონი
ფულემი - მანჩესტერი
იფსვიჩი - სანდერლენდი
ნიუკასლი - ჩელსი
საუთჰემპტონი - ლიდსი
ვესტ ჰემი - ლივერპული

**XXI ტური. 1 იანვარი, 2002**

ჩარლტონი - იფსვიჩი
ჩელსი - საუთჰემპტონი
დერბი - ფულემი
ლიდსი - ვესტ ჰემი
ლესტერი - არსენალი
ლივერპული - ბოლტონი
მანჩესტერი - ნიუკასლი
მიდლსბრო - ევერტონი
სანდერლენდი - ასტონ ვილა
ტოტენჰემი - ბლეკბერნი

**XXII ტური. 12 იანვარი**

არსენალი - ლივერპული
ასტონ ვილა - დერბი
ბლეკბერნი - ჩარლტონი
ბოლტონი - ჩელსი
ევერტონი - სანდერლენდი
ფულემი - მიდლსბრო
იფსვიჩი - ტოტენჰემი
ნიუკასლი - ლიდსი
საუთჰემპტონი - მანჩესტერი
ვესტ ჰემი - ლესტერი

**XXIII ტური. 19 იანვარი**

ჩარლტონი - ასტონ ვილა
ჩელსი - ვესტ ჰემი
დერბი - იფსვიჩი
ლიდსი - არსენალი
ლესტერი - ნიუკასლი
ლივერპული - საუთჰემპტონი
მანჩესტერი - ბლეკბერნი
მიდლსბრო - ბოლტონი
სანდერლენდი - ფულემი
ტოტენჰემი - ევერტონი

**XXIV ტური. 29 იანვარი**

ბოლტონი - მანჩესტერი
ჩარლტონი - დერბი
იფსვიჩი - ფულემი
სანდერლენდი - მიდლსბრო

**30 იანვარი**

ასტონ ვილა - ევერტონი
ბლეკბერნი - არსენალი
ჩელსი - ლიდსი
ლივერპული - ლესტერი
საუთჰემპტონი - ვესტ ჰემი
ტოტენჰემი - ნიუკასლი

**XXV ტური. 2 თებერვალი**

არსენალი - საუთჰემპტონი
დერბი - ტოტენჰემი
ევერტონი - იფსვიჩი
ფულემი - ასტონ ვილა
ლიდსი - ლივერპული
ლესტერი - ჩელსი
მანჩესტერი - სანდერლენდი
მიდლსბრო - ჩარლტონი
ნიუკასლი - ბოლტონი
ვესტ ჰემი - ბლეკბერნი

**XXVI ტური. 9 თებერვალი**

ასტონ ვილა - ჩელსი
ბოლტონი - ვესტ ჰემი
ჩარლტონი - მანჩესტერი
დერბი - სანდერლენდი
ევერტონი - არსენალი
ფულემი - ბლეკბერნი
იფსვიჩი - ლივერპული
მიდლსბრო - ლიდსი
ნიუკასლი - საუთჰემპტონი
ტოტენჰემი - ლესტერი

**XXVII ტური. 23 თებერვალი**

არსენალი - ფულემი
ბლეკბერნი - იფსვიჩი
ჩელსი - ტოტენჰემი
ლიდსი - ჩარლტონი
ლესტერი - დერბი
ლივერპული - ევერტონი
მანჩესტერი - ასტონ ვილა
საუთჰემპტონი - ბოლტონი
სანდერლენდი - ნიუკასლი
ვესტ ჰემი - მიდლსბრო

**XXVIII ტური. 2 მარტი**

ასტონ ვილა - ვესტ ჰემი
ბოლტონი - ბლეკბერნი
ჩარლტონი - ჩელსი
დერბი - მანჩესტერი
ევერტონი - ლიდსი
ფულემი - ლივერპული
იფსვიჩი - საუთჰემპტონი
მიდლსბრო - ლესტერი
ნიუკასლი - არსენალი
ტოტენჰემი - სანდერლენდი

**XXIX ტური. 5 მარტი**

არსენალი - დერბი
ლიდსი - იფსვიჩი
სანდერლენდი - ბოლტონი

**6 მარტი**

ბლეკბერნი - ასტონ ვილა
ჩელსი - ფულემი
ლესტერი - ჩარლტონი
ლივერპული - ნიუკასლი
მანჩესტერი - ტოტენჰემი
საუთჰემპტონი - მიდლსბრო
ვესტ ჰემი - ევერტონი

**XXX ტური. 16 მარტი**

ასტონ ვილა - არსენალი
ბოლტონი - დერბი
ჩელსი - სანდერლენდი
ევერტონი - ფულემი
ლიდსი - ბლეკბერნი
მიდლსბრო - ლივერპული
ნიუკასლი - იფსვიჩი
საუთჰემპტონი - ლესტერი
ტოტენჰემი - ჩარლტონი
ვესტ ჰემი - მანჩესტერი

**XXXI ტური. 23 მარტი**

არსენალი - ვესტ ჰემი
ბლეკბერნი - ნიუკასლი
ჩარლტონი - ბოლტონი
დერბი - ევერტონი
ფულემი - ტოტენჰემი
იფსვიჩი - ასტონ ვილა
ლესტერი - ლიდსი
ლივერპული - ჩელსი
მანჩესტერი - მიდლსბრო
სანდერლენდი - საუთჰემპტონი

**XXXII ტური.30 მარტი**

არსენალი - სანდერლენდი
ბოლტონი - ასტონ ვილა
ჩელსი - დერბი
ლიდსი - მანჩესტერი
ლესტერი - ბლეკბერნი
ლივერპული - ჩარლტონი
მიდლსბრო - ტოტენჰემი
ნიუკასლი - ევერტონი
საუთჰემპტონი - ფულემი
ვესტ ჰემი - იფსვიჩი

**XXXIII ტური. 1 აპრილი**

ასტონ ვილა - ნიუკასლი
ბლეკბერნი - საუთჰემპტონი
ჩარლტონი - არსენალი
დერბი - მიდლსბრო
ევერტონი - ბოლტონი
ფულემი - ვესტ ჰემი
იფსვიჩი - ჩელსი
მანჩესტერი - ლივერპული
სანდერლენდი - ლესტერი
ტოტენჰემი - ლიდსი

**XXXIV ტური. 6 აპრილი**

არსენალი - ტოტენჰემი
ბოლტონი - იფსვიჩი
ჩელსი - ევერტონი
ლიდსი - სანდერლენდი
ლესტერი - მანჩესტერი
ლივერპული - ბლეკბერნი
მიდლსბრო - ასტონ ვილა
ნიუკასლი - ფულემი
საუთჰემპტონი - დერბი
ვესტ ჰემი - ჩარლტონი

**XXXV ტური.13 აპრილი**

ასტონ ვილა - ლიდსი
ბლეკბერნი - ჩელსი
ჩარლტონი - საუთჰემპტონი
დერბი - ნიუკასლი
ევერტონი - ლესტერი
ფულემი - ბოლტონი
იფსვიჩი - მიდლსბრო
მანჩესტერი - არსენალი
სანდერლენდი - ლივერპული
ტოტენჰემი - ვესტ ჰემი

**XXXVI ტური 20 აპრილი**

არსენალი - იფსვიჩი
ბოლტონი - ტოტენჰემი
ჩელსი - მანჩესტერი
ლიდსი - ფულემი
ლესტერი - ასტონ ვილა
ლივერპული - დერბი
მიდლსბრო - ბლეკბერნი
ნიუკასლი - ჩარლტონი
საუთჰემპტონი - ევერტონი
ვესტ ჰემი - სანდერლენდი

**XXXVII ტური. 27 აპრილი**

ასტონ ვილა - საუთჰემპტონი
ბოლტონი - არსენალი
ჩარლტონი - სანდერლენდი
დერბი - ლიდსი
ევერტონი - ბლეკბერნი
ფულემი - ლესტერი
იფსვიჩი - მანჩესტერი
მიდლსბრო - ჩელსი
ნიუკასლი - ვესტ ჰემი
ტოტენჰემი - ლივერპული

**XXXVIII ტური. 11 მაისი**

არსენალი - ევერტონი
ბლეკბერნი - ფულემი
ჩელსი - ასტონ ვილა
ლიდსი - მიდლსბრო
ლესტერი - ტოტენჰემი
ლივერპული - იფსვიჩი
მანჩესტერი - ჩარლტონი
საუთჰემპტონი - ნიუკასლი
სანდერლენდი - დერბი
ვესტ ჰემი - ბოლტონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროკალათი

**ძველი** თანაგუნდელები სეულის ოლიმპიადის ჩემპიონ საბჭოთა კავშირის ნაკრებში, ალექსანდრ ვოლკოვი, იგორს მიგლინიეკსი და ლიტვის სპორტის ყოფილი მინისტრი რიმას კურტინაიტისი, თავიანთ ბედს კვლავ ერთმანეთს უკავშირებენ, ამჯერად უკრაინაში, კიევის კლუბ „ბკ კიევში“.

ალექსანდრ ვოლკოვი, რომელსაც კურტინაიტისის მსგავსად თავისი ქვეყნის სპორტის მინისტი ყოფილა დღეს, კიევური გუნდის დამაარსებელი და მისი პრეზიდენტია. დიდი ხანი არ არის, რაც მან „ბკ კიევში“ მთავარ მწვრთნელად ყოფილი თანაგუნდელი, იგორს მიგლინიეკსი დანიშნა და ახლა, როცა რიმას კურტინაიტისმა თანამდებობა დატოვა, ვოლკოვმა ისიც მიიწვია თავისი გუნდის ერთ-ერთ ხელმძღვანელად და კონსულტანტად.

კიევური გუნდის ხელმძღვანელობას ამბიციები მოსძალებია, მათ ევროპული გრანდის შექმნა განუზრახავთ — მომავალ სეზონში ქვეყნის ჩემპიონობას გეგმავენ, ჩრდილოევროპულ ლიგის ოთხეულში მოხვედრაც სურთ და როგორც ვოლკოვი აცხადებს, სამ-ოთხ წელიწადში ისეთი გუნდი ეყოლებათ, რომლითაც ევროლიგის მოგებასაც შეძლებენ.

თავად კურტინაიტისი, რომელსაც მსოფლიოს შვიდ ქვეყანაში უთამაშია და ამ მაჩვენებლებით რეკორდსმენია, თავის მომავალ, უკრაინულ საქმიანობას ოპტიმიზმით უყურებს. ლიტვური პრესის განცხადებით, მას უკრაინაში მუშაობის ჩინებული პირობები ექნება და შესაძლებლობა მიეცემა, თავისი იდეები დაუბრკოლებლად განახორციელოს.

მართალია, კურტინაიტისის უკრაინაში გადაბარგება იურიდიულად არ მოგვარებულა, მაგრამ როგორც თვითონ რიმასი ამბობს, ეს მალე მოხდება. „ჩვენ ყველა საკითხზე შევთანხმდით, მხოლოდ უმნიშვნელო დეტალები დარჩა დასაზუსტებელი. ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ შემოდგომიდან გუნდს შევუერთდე“.

**მოსკოვის** ცსკა-მ ორი უკანახაზელი აიყვანა. 26 წლის ამერიკელი გამთამაშებელი, კალიფორნიის უნივერსიტეტის აღზრდილი კერტის მაკკანტსი მოსკოველებმა ფრანგული „მონპელიედან“ გადაიბირეს. მაკკანტსი საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია. „მონპელიეს“ რიგებში იგი საშუალოდ თითო თამაშში 22 ქულას იხვეჭდა. ამერიკელი ფრანგულ ლიგაში გადაცემათა რაოდენობის მხრივაც ლიდერობდა — საშუალოდ 9,5 პასი მატჩში. საფრანგეთში გადაბარგებამდე იგი „ბკ კიევში“ გამოდიოდა.

მოსკოველთა მეორე შენაძენი კი ხორვატი გორდან გირიჩეკია. ბოლო ოთხი სეზონია, რაც იგი ზაგრების „ციბონას“ შემადგენლობაში თავისი ქვეყნის ჩემპიონია. 24 წლის გირიჩეკი ხორვატიის ნაკრების წევრია და ერთ-ერთ პერსპექტიულ მოთამაშედაც ითვლება. იგი, პირველ ყოვლისა, ზუსტი სროლით გამოირჩევა, არაერთხელ მოუგია ქვეყნის ტურნირი სამქულიან სროლებში.

**საბერძნეთში** ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ტურნირზე გამგზავრებულ იტალიის ნაკრებს დიდი დანაკლისი აქვს. ტრავმა მიიღო გუნდის ორმა ცენტრმა — რობერტო კიაჩიგიმ და მიშელ მაჯიოლიმ. კიაჩიგიმ, რომელიც ჩინებულ ფორმაში იყო და თავისი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, მუხლი დაიშავა და ერთობ საეჭვოა, იტალიელებს თურქეთში გასამართ ევროპულ ფორუმზე დაეხმაროს. მაჯიოლიმ კი მარცხენა ხელის თითი მოიტეხა და მისი ევროპის ჩემპიონატზე თამაშიც სათუოა. თუ ეს კალათბურთელები ვერ გამოჯანმრთელდებიან, იტალიის ნაკრები ერთადერთი ცენტრის ამარა დარჩება და აპენინელებს დაშავებულთა შემცვლელის საპოვნელად ძალიან მცირე დრო ექნებათ.

რაც შეეხება თავად ტურნირს, იგი დღეს დაიწყება და სამ დღეს გასტანს. იტალიელთა გარდა მასში საბერძნეთის, იუგოსლავიისა და ლიტვის ნაკრებები ითამაშებენ.

**იტალიური** კალათბურთის ვარსკვლავმა კარლტონ მაიერსმა, რომელიც იტალიის ნაკრებში თამაშს კვლავ უარობს, შესაძლოა მშობლიური „ფორტიტუდოც“ დატოვოს და სათამაშოდ ესპანეთს მიაშუროს. ყველასათვის ცნობილია, რომ ვიტორიას „ტაუ“ კარგა ხანია, რაც იტალიელს უთვალთვალებს. ამიტომ გუშინ, როცა მაიერსი „ფორტიტუდოს“ შეკრებაზე არ გამოცხადდა, ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკული წარმოშობის შავკანიანი იტალიელი ესპანეთშია და „ტაუსთან“ უკვე მოაწერა ხელი სამწლიან კონტრაქტს. „მართალია, ამ ფაქტს ესპანეთში ოფიციალურად არ ადასტურებენ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნაკრებისგან განდეგილ მაიერსს მომავალი სეზონიდან ესპანეთში ვიხილავთ“ — ამბობენ იტალიელები.

**ირაკლი ბერტაია**



რობერტო კიაჩიგის საქმე შავად წაუვიდა

# სტეფანიას მოცილე გაეცალა



კრის დადლი ვლადიმერ სტეფანიას ხელს ვეღარ შეუშლის

**თავისუფალ** აგენტთა ბაზრის ოფიციალურად გახსნიდან თვენახევარი გავიდა და უკონტრაქტოდ მყოფ მობურთალთა დიდმა ნაწილმა იპოვა ახალი გუნდი. თავისუფალ აგენტთა შეთხელებულ რიგებში კვლავაც ვხედავთ ჩვენებურ ვლადიმერ სტეფანიას, რომელიც ლამის ქრონიკულად მტკივან მუხლს მკურნალობს და თავის გუნდ „ნიუ ჯერსი ნეთსთან“ კონტრაქტის განახლებას არ ჩქარობს. თავად „ნიუ ჯერსიც“ ჩუმადაა. შესაძლოა „ბადეები“ სტეფანიას გამოჯანმრთელებას ელიან, თუმცა არც ისაა გამორიცხული, მათ არ ისურვონ ქართველის დატოვება.

ისე კი, ამას წინათ ვოვას უთქვამს, თუ „ნიუ ჯერსის“ ძირითადი ცენტრი ევან ეშმეიერი დატოვებს, „ნეთსში“ ჩემი დარჩენის ალბათობა უცილობლად გაიზრდებაო. ორიოდ დღის წინ ეშმეიერი „დალასში“ გადაბარგდა, სამაგიეროდ, „ფილადელფიიდან“ მოვიდა ტოდ მაკალოფი, რომელსაც სასტარტო ხუთეულში მოხვედრა თითქმის გარანტირებული აქვს.

და მაინც, სტეფანიას კონკურენტთა რიცხვი მცირდება. დღეს „ნიუ ჯერსის“ თავისუფალ აგენტთა ჩათვლით ოთხი ნომინალური ცენტრი ჰყავს, ერთით ნაკლები, ვიდრე ორი დღის წინ. ამ ხუთშაბათს გუნდი დატოვა, მხოლოდ არა საკუთარი ნებით, 211-სანტიმეტრიანმა კრის დადლიმ. 36 წლის დადლი კლუბის ხელმძღვანელობამ დაითხოვა, პატივს კი გცემთ, მაგრამ ძალიან დაბერდი და ვერაფრით შეგვეშველებიო.

თავის 14-წლიან კარიერაში დადლის ხუთ გუნდში თამაში მოუსწრია, აქედან სამნახევარი წელი „ნიუ ჯერსის“ მაისურით უბურთავია, მხოლოდ არა ამ ბოლო ხანებში, არამედ 90-იანი წლების დასაწყისში. ამ ორი თვის წინ დადლი გაცვლის შედეგად „ნიუ ჯერსიში“ დაბრუნდა და ისე დატოვა ძველი კლუბი, ერთი შეხვედრაც არ უთამაშია. იგი „ფინიქსიდან“ ხურდად გამოჰყვა ნიუჯერსელ სტივენ მარბერიში გაცვლილ ჯეისონ კიდს.

თავის ბოლო კლუბში, „ფინიქსში“ („ნიუ ჯერსი“, აბა, რა სათვალავში ჩასაგდებია), დადლიმ უკანასკნელ სეზონში ბევრი ვერაფრით გამოიჩინა თავი. მისმა შედეგიანობამ მატჩში საშუალოდ ოდენ 1,4 ქულა და 3,5 მოხსნა შეადგინა. ამ საცოდავ მაჩვენებლებსაც რომ თავი დავანებოთ, დადლის გამუდმებით ტრავმები ტანჯავდა. ჰოდა, რაღა გასაკვირია, თუ სასტარტო ხუთეულში ძირითადი ცენტრის ადგილი მასზე ორჯერ უმცროსმა, სოხუმში დაბადებულ-გაზრდილმა ბერძენმა იაკოვოს ცაკალიდისმა წაართვა. ამ ყმაწვილს კი მაშინ ნბა-ში თამაშის რამდენიმედღიანი გამოცდილება თუ ჰქონდა.

ბებერი დადლი ყმაწვილ ცაკალიდისს კონკურენციას ვერ უწევდა და ვერც ახალგაზრდა ქართველს, სტეფანიას გაუწევს. ახლა ეს მრავლისმნახველი ვეტერანი ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაშია. მას გაუჭირდება ისეთი გუნდის მოძებნა, რომელიც წელიწადში თუნდაც ნახევარ მილიონ დოლარს გადაუხდის.

დადლის წასვლის მიუხედავად, „ნიუ ჯერსიში“ ცენტრის პოზიციაზე მაინც დიდი კონკურენციაა. სამომავლოდ ძირითადის ტოდ მაკალოფის პირველ შემცვლელად გამწესებას სტეფანიას გარდა ახალბედა ჯეისონ კოლინზი და ვეტერანი ჯიმ მაკლვეინიც შეეცდებიან.

**ირაკლი ფირჯხვილი**



## სამი ერის პირველობა

# ქურციკთმწყემსი იქადნება

**დღეს** სამი ერის მეოთხე ტურია. პერტში ავსტრალია სამხრეთ აფრიკას უმასპინძლებს და ორი კვირის წინ პრეტორიაში განცდილი მარცხისთვის რევანშის აღებას შეეცდება. თუმცა უიმედოდ არც სტუმრები არიან. მათი მთავარი მწვრთნელი ჰარი ფილუენი აცხადებს: „ყოველთვის ვამბობდი, ავსტრალია მშვენიერი გუნდია-მეთქი. ოღონდ რატომ ვერ უნდა დავამარცხოთ?“

ეს მატჩი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან სამივე გუნდს თითო-თითო მოგება აქვს და ტურნირში გამარჯვების შანსსაც სამივე ნაკრები ინარჩუნებს. თუმცა უკეთეს სიტუაციაში ნამდვილად ოზები არიან, რომლებმაც გასულ შაბათს დანიდინში ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს ახალზელანდიელებთან.

პრეტორიაში დამარცხება მხოლოდ ჩვენი ცუდი თამაშის და უიღბლობის ბრალი იყოო, ამბობენ მასპინძლები, რომლებიც დარწმუნებულები არიან დღეს თავიანთ წარმატებაში. მართლაც, აფრიკაში ავსტრალიელები ძალიან ხშირად კარგავდნენ ბურთს და უამრავი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. გარდა ამისა, მაშინ მხარის ტრავმის გამო ძირითადი დამრტყმელი სტივენ ლარკემი აკლდათ და ამანაც უარყოფითად იმოქმედა მათ შედეგზე. მას მერე კი გარე ნახევარმცველმა ტრავმა მოიშუშა და მშვენიერ ფორმაშიცაა, რაც ახალ ზელანდიაშიც დაამტკიცა.

რაც შეეხება დანარჩენ გუნდს, შემადგენლობა თითქმის არ შეცვლილა. შეიძლება დღეს მინდორზე მარცხენა ფრთა ჯო როფი ვერ ვიხილოთ, რადგან მან ოთხშაბათს ვარჯიშისას ქუსლი იტკინა.

აი, ენდრიუ უოლკერი კი ნამდვილად არ ითამაშებს და მას მისივე კანბერელი თანაგუნდელი კრის ლეითემი შეცვლის. და რა მოუვიდა უოლკერს? შარშანდელი ზე-12-ის საუკეთესო მელელოეს ტრავმა არ მიუღია. ის უბრალოდ დისციპლინის დარღვევისთვის ამოვარდა შემადგენლობიდან. დანიდინიდან მობრუნებული უოლკერი მწვრთნელების ნებართვის გარეშე წასულა ოჯახის მოსანახულებლად და პერტში წამსვლელ თვითმფრინავზე დაგვიანებია, რის გამოც დაისაჯა კიდეც. „გაგანია ჩემპიონატის დროს სულ უნდა გვახსოვდეს რომ პროფესიონალები ვართ და ასეთი უპასუხისმგებლობა არ უნდა გამოვიჩინოთ“ — თქვა ოზთა თავკაცმა ედი ჯონსმა.

თავად უოლკერმა კი ბოდიში მოიხადა და აღნიშნა, რომ ავსტრალიის ჩემპიონატში თავისი გუნდის შემადგენლობაში ისე ითამაშებს მომავალ ტურში, რომ ჯონსს უმალ მოუნდეს მისი ნაკრებში დაბრუნება.

სამხრეთ აფრიკის შემადგენლობაში ოდენ ერთი ცვლილებაა. ჰარი ფილუენმა ძირითადში დააბრუნა შერკინების მეორეხაზელი ვიკტორ მეტფილდი. იგი 24 წლის იოჰან აკერმანის ნაცვლად ითამაშებს. სათადარიგოთა სკამზე ახალგაზრდა იუ ფან ნიკერკის მაგივრად ალბერტ ფან დენ ბერგი იჯდება.

რაც შეეხება დენ ჰოლს, რომელმაც როფის მსგავსად ორიოდ დღის წინ ვარჯიშისას ქუსლი დაიზიანა, ის წინასწარ შემადგენლობაში მაინც მოხვდა. „ჰოლი, ალბათ, ითამაშებს. ხოლო თუ მაინც დასვენება მოუწევს, მას ტინუს დელპორტი შეცვლის, სათადარიგო კი ანდრე სნიმანი იქნება“ — განაცხადა „ქურციკების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა მარკ კოჰანმა.

როგორც უკვე ვთქვით, ფილუენი მასპინძელთა ძლევას უტოპიად არ მიიჩნევს და 1998 წლის დუბლი უნდა გავიმეოროთო, ამბობს. მაშინ „ქურციკებმა“ სწორედ პერტში აჯობეს „ვოლაბებს“ 14:13, შინ კი იოჰანესბურგში მოიგეს 29:15. იმ წელს აფრიკელები მშვენიერ ფორმაში იყვნენ და სამი ერის ჩემპიონებიც გახდნენ პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად.

მწვრთნელის აზრს იზიარებს ნაკრების კაპიტანი ბობ სკინსტედიც. „ამ კვირანახევრის განმავლობაში კარგად მოვემზადეთ. ყველა ჩინებულ ფორმაშია და დარწმუნებული ვარ, მოგება ჩვენს ძალებს სულაც არ აღემატება“ — თქვა სკინსტედმა.

ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონები გაფრთხილებულნი არიან.

**გაგი გურული**



ისე, როგორც პრეტორიაში, „ვოლაბები“ და „ქურციკები“ პერტშიც ერთმანეთის „გაჭყლეტას“ ეცდებიან

სავარაუდო შემადგენლობები

**ავსტრალია:** ბერკი, ლეითემი, ჰერბერტი, გრეი, როფი, ლარკემი, გრეგანი; სტილსი, ფოლი, მური, ჰარისონი, ილზი (კაპ), ფინიგანი, სმიტი, კეფუ; სათადარიგონი: ქენონი, დარვინი, კოკბეინი, ვოფი, ვიტაკერი, ფლეტლი, ბონდი

**სამხრეთ აფრიკა:** იანტიესი, ჰოლსი, ფლეკი, ფან სტრაატენი, ჰოლი, ჯეიმსი, ფან დერ ვესტჰოიზენი; კემპსონი, ფან ბილიონი, ფისახი, მეტფილდი, ენდრიუსი, ფოსი, ფენტერი, სკინსტედი (კაპ); სათადარიგონი: სმიტი, ლე რუ, ფან დენ ბერგი, კრიხე, დე კოკი, კეიზერი, დელპორტი

# სარბიელი

# სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. IV ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ბაიერნი-ზტ.პაული | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 002 | ბაიერნი-ზტ.პაული 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.30 | 003 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 004 | ნიურბერგი-შტუტგარტი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 18.30 | 005 | ვერდერი-მიუნხენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.30 | 006 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 007 | შალკე-ლევერკუზენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 008 | ჰანზა-დორტმუნდი | 3,3 | 3,2 | 2,0 |

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 009 | ჰერტა-კოტბუსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 010 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. IV ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | ბაბელსბერგი-უნიონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 015 | ზაარბრიუკენი-აინტრახტი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | ალენი-ალემანია | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 017 | ჰანოვერი-ბოხუმი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 018 | მაინცი-კარლსრუე | 1,95 | 3,1 | 3,4 |

**20 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 019 | ვალდჰოფი-დუისბურგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). IV ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 022 | ლევერკუზენი(მ.)-დიუსელდ. | 2.1 | 3,1 | 3,2 |
| 17.00 | 023 | დრეზდენი-ფორტუნა | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 17.00 | 024 | მაგდებურგი-ბრაუნშვაიგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.00 | 025 | ფერლი-აუე | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 17.00 | 026 | ესენი-ვატენშაიდი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| 17.00 | 027 | ქემნიცი-პადერბორნი | 1,55 | 3,5 | 5,0 |
| 17.00 | 028 | ოსნაბრიუკი-კილი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 029 | ურდინგენი-ვერდერი(მ.) | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| | 030 | ურდინგენი-ვერდერი(მ.) 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### გერმანია. რეგიონალლიგა. (სამხრეთი). IV ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 033 | რეგენსბურგი-შტუტგარტი(მ.) | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 18.00 | 034 | ოფენბახი-ელვერსბერგი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 18.00 | 035 | კიკერსი-აალენი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 18.30 | 036 | კაიზერსლ(მ.)-დარმშტადი | 2,8 | 3,1 | 2,3 |

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 037 | ბაიერნი(მ.)-ვეჰენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.00 | 038 | ზიგენი-მანჰაიმი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 21.00 | 039 | ფულდა-ტრირი | 2,7 | 3,2 | 2,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. I ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 040 | ჩარლტონი-ევერტონი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 041 | დერბი-ბლექბერნი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 042 | ლიდსი-საუთჰემპტონი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 043 | ლიდსი-საუთჰემპტონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 044 | ლესტერი-ბოლტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 045 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 046 | ლივერპული-ვესტ ჰემი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,4 |
| 19.00 | 047 | მიდლსბრო-არსენალი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 19.00 | 048 | სანდერლენდი-იფსვიჩი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 19.00 | 049 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 050 | ჩელსი-ნიუკასლი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 051 | მანჩესტერი-ფულემი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 052 | მანჩესტერი-ფულემი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,4 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური

**20 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 053 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### ინგლისი I დივიზიონი. II ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 054 | ბარნსლი-ნოტინგემი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 055 | ბარნლი-უიმბლდონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 056 | ქრიუ-უენსდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 057 | კრ.პალასი-სტოკპორტი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 058 | ნორვიჩი-სიტი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 059 | პორტსმუთი-ბრედფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 060 | პრესტონი-უოლსოლი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 061 | შეფილდი-ჯილინგემი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 062 | უოტფორდი-როტერჰემი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 063 | ვესტ ბრომვიჩი-გრიმსბი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 064 | ბირმინგემი-მილუოლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.15 | 065 | ქოვენთრი-ვულვერჰემპტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. II ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 066 | ბორნმუთი-ბლეკპული | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 067 | ბრენტფორდი-პორტ ვეილი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 068 | ბრაიტონი-უიგანი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 069 | ბრისტოლი-სუინდონი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 070 | ბერი-ქუინზ პარკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 071 | კოლჩესტერი-ტრანმერი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 072 | ნოტსი-კემბრიჯი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 073 | ოლდემი-ჩესტერფილდი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 074 | პიტერბრო-კარდიფი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 075 | რედინგი-ჰადერსფილდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 076 | სტოკი-ნორთჰემპტონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 077 | უიკომბი-რექსემი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

### ინგლისი. III დივიზიონი. II ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 079 | დარლინგტონი-კიდერმინსტ. | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 080 | ჰალიფაქსი-ექსეტერი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 081 | ჰალი-პლიმუთი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 082 | ლეიტონი-კარლაილი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 083 | ლუტონი-ჩელტენემი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 084 | მენსფილდი-საუთენდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 085 | როჩდეილი-მაკლსფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 086 | სკანთორპი-როვერსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 087 | შრიუსბერი-ჰარტლპული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 088 | სუონსი-ოქსფორდი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 089 | ტორკი-იორკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. IV ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 090 | ლილი-მონპელიე | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 091 | სოშო-ლორიანი | 1.65 | 3,1 | 5,3 |
| 23.00 | 092 | რენი-ბორდო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 093 | ნანტი-ბასტია | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.00 | 094 | მეცი-ლანსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 095 | მარსელი-ტრუა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 096 | ლიონი-გენგამი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 097 | ოსერი-სედანი | 1,75 | 2,9 | 4,7 |

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 098 | მონაკო-პსჟ | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. IV ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 100 | სტრასბური-ლავალი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.00 | 101 | ნიორი-ისტრი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 102 | ნიმი-ლე ავრი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 103 | ნანსი-გენიონი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 104 | ლე მანი-ვასკეალი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 105 | კრეტეი-აიაჩო | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 106 | შატორუ-ამიენი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 107 | კაენი-მარტიგი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 108 | ბოვე-ნიცა | 2,0 | 2,9 | 3,6 |

### პორტუგალია. I ლიგა. II ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 109 | ბელენენსეში-სპორტინგი | 3,5 | 3,1 | 1,95 |
| 01.00 | 110 | ჟილ ვისენტე-ბრაგა | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 111 | ბეირა მარი-მარიტიმუ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.00 | 112 | ლეირია-სანტა კლარა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 113 | სეტუბალი-ვარზიმი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 114 | ალვერკა-ფერეირა | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 115 | ბენფიკა-სალგეირუში | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 116 | ბენფიკა-სალგეირუში 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 01.00 | 117 | პორტუ-ბოავიშტა | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**20 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 118 | ფარენსე-გიმარაეში | 1,85 | 3,1 | 3,8 |

### პორტუგალია. II ლიგა. II ტური

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 119 | მარკუ-ამადორა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 20.00 | 120 | ნავალი-მორეირენსე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 121 | პენაფიელი-ნასიონალი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 20.00 | 122 | ოვარენსე-აკადემიკა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 123 | ოლივეირენსე-ავეში | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 124 | პორტიმონენსე-შავეში | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.00 | 125 | ლეცა-რიუ ავე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 126 | კამპომაიორენსე-ესპინიუ | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.00 | 127 | მაია-ლამაში | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. I ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 129 | გრონინგენი-პსვ | 5,0 | 3,6 | 1,55 |
| 22.00 | 130 | ბრედა-უტრეხტი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 22.30 | 131 | დენ ბოსხი-ჰერენვენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 132 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 133 | ტილბურგი-ნაიმეგენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 17.30 | 134 | აიაქსი-როდა | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 17.30 | 135 | ფეიენოორდი-სპარტა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 136 | ფეიენოორდი-სპარტა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 17.30 | 137 | სიტარდი-ვიტესი | 3,2 | 3,3 | 2,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. I ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 142 | ჰერაკლესი-ოსი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.30 | 143 | იგლსი-როზენდალი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.30 | 144 | ტელსტარი-ექსელსიორი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 145 | ვოლენდამი-ემენი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 17.30 | 146 | დორდრეხტი-დენ ჰააგი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

### ბელგია. I დივიზიონი. II ტური

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 148 | ლუვიე-ანდერლეხტი | 6,0 | 3,8 | 1,45 |
| 23.00 | 149 | სტანდარდი-ბეერსხოტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 150 | მოლენბეკი-შარლერუა | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.00 | 151 | სტ. ტრუიდენი-ლომელი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.00 | 152 | ვესტერლო-აალსტი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 23.00 | 153 | ბევერენი-ლიერსი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.00 | 154 | ანტვერპენი-გენკი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 155 | ლოკერენი-ბრიუგე | 3,3 | 3,3 | 1,95 |

### ჩეხეთი. IV ტური

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.15 | 157 | ჟიჟკოვი-ბოჰემიანსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.30 | 158 | ჰ.კრალოვე-ლიბერეცი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 19.30 | 159 | პრჟიბრამი-ბლშანი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.30 | 160 | სიგმა-სინოტი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 161 | სიგმა-სინოტი 0:1 | 2,0 | 3,3 | 2,2 |
| 19.30 | 162 | იაბლონეცი-ტეპლიცე | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 163 | დრნოვიცე-ბრნო | 1,9 | 3,0 | 3,8 |

**20 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 164 | ოპავა-სპარტა | 6,5 | 4,0 | 1,4 |

**პოლონეთი. A ჯგუფი. V ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 167 | ზაგლებე-პოლონია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.00 | 168 | კატოვიცე-ოსტროვეცი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 20.30 | 169 | ვიძევი-გურნიკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

**პოლონეთი B ჯგუფი. V ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 170 | ამიცა-სტომილი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 171 | ამიცა-სტომილი 0:1 | 2,0 | 3,3 | 2,2 |
| 20.30 | 172 | ლეგია-რადომსკო | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 173 | ლეგია-რადომსკო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.30 | 174 | გროცლინი-რუხი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.30 | 175 | პოგონი-შლიონსკი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**თურქეთი. II ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 177 | დიარბაქირი-გიოზთეფე | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 21.00 | 178 | ქოჯაელი-ანთალია | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 21.00 | 179 | სამსუნი-გენჩლერბირლიგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 21.00 | 180 | გალათასარაი-დენიზლი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 181 | გალათასარაი-დენიზლი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 182 | ისთანბული-ფენერბაჰჩე | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 19.00 | 183 | იოზგათი-რიზე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 21.00 | 184 | ანკარაგიუჯიუ-მალათია | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 185 | ტრაბზონი-გაზიანთეფი | 1,95 | 3,1 | 3,5 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. IV ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 186 | აბერდინი-მოზერუელი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 187 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 188 | ჰართსი-დანდი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 189 | კილმარნოკი-სტ. ჯონსტონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 190 | ლივინგსტონი-სელტიკი | 6,0 | 3,8 | 1,45 |
| 21.35 | 191 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 192 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. III ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 193 | ერდრი-ეარი | 2,8 | 3,3 | 2,2 |
| 19.00 | 194 | კლაიდი-არბროთი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 195 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 196 | პარტიკი-ინვერნესი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 197 | როსი-რეითი | 2,1 | 3,3 | 3,0 |

**შოტლანდია. II დივიზიონი. III ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 198 | ბერიკი-კლაიდბენკი | 2,5 | 3,4 | 2,3 |
| 19.00 | 199 | ფორფარი-სტენჰაუზმური | 1,75 | 3,4 | 3,6 |
| 19.00 | 200 | ჰამილტონი-კოუდენბითი | 1,85 | 3,3 | 3,5 |
| 19.00 | 201 | მორტონი-ქუინი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 202 | სტრანრარი-ალოა | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. III ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 203 | დამბარტონი-ქუინზ პარკი | 1,7 | 3,5 | 3,8 |
| 19.00 | 204 | ისტ ფაიფი-ისტ სტირლინგი | 1,75 | 3,4 | 3,6 |
| 19.00 | 205 | ელგინი-ალბიონი | 2,4 | 3,4 | 2,4 |
| 19.00 | 206 | მონტროუზი-პიტერჰედი | 1,85 | 3,4 | 3,4 |
| 19.00 | 207 | სტირლინგი-ბრეჩინი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**ავსტრია. VIII ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 208 | რაპიდი-ტიროლი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.30 | 209 | ბრეგენცი-ზალცბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 210 | კერნტენი-აუსტრია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 211 | რიდი-ადმირა | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 212 | რიდი-ადმირა 0:1 | 1,9 | 3,5 | 2,3 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 213 | შტურმი-გრაცერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. VIII ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 215 | აარაუ-ბაზელი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.30 | 216 | გრასჰოპერი-ლოზანა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 217 | გრასჰოპერი-ლოზანა 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 22.30 | 218 | ლუგანო-ციურიხი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.30 | 219 | ლუცერნი-სტ. გალენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. IX ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 226 | ვილი-ბელინცონა | 1,8 | 3,2 | 3,5 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 19.15 | 227 | კონკორდია-ვინტერთური | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.15 | 228 | დელემონი-თუნი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.15 | 229 | კარუჟი-კრინსი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.15 | 230 | ლოკარნო-ბადენი | 2,6 | 3,2 | 2,3 |
| 19.15 | 231 | ივერდონი-ვადუცი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**დანია. V ტური**

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 233 | მიდტიულანდი-ლიუნგბიუ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 234 | ვიბორგი-ვაილე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 235 | ორჰუსი-ოდენსე | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 20.05 | 236 | ბრიონდბიუ-სილკებორგი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 237 | ოლბორგი-ესბიერგი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**რუსეთი. XXII ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 238 | დინამო-ჩერნომორეცი | 1,45 | 3,4 | 5,6 |
| 16.00 | 239 | ფაკელი-სპარტაკი | 4,4 | 3,3 | 1,6 |
| 16.00 | 240 | სატურნი-როტორი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 16.00 | 241 | ალანია-ლოკომოტივი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 16.00 | 242 | ტორპედო-ზენიტი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 16.00 | 243 | კრილია-სოკოლი | 1,75 | 3,0 | 4,2 |
| 16.00 | 244 | ანჟი-ცსკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 16.00 | 245 | ზილ-როსტელმაში | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**შვედეთი. XVIII ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 246 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 247 | ჰელსინგბორგი-ჰეკენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 248 | ელფსბორგი-აიკ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 249 | იურგორდენი-ნორჩიოპინგი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 22.00 | 250 | სუნდსვალი-იორებრო | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 22.00 | 251 | გიოტებორგი-ტრელებორგი | 1,4 | 4,0 | 6,5 |

**ნორვეგია. XIX ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 252 | რუსენბორგი-ბრინი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | 253 | რუსენბორგი-ბრინი 0:1 | 1,35 | 3,8 | 4,0 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 254 | ბოდიო გლ.-ლილესტრიომი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 21.00 | 255 | ბრანი-ოდ გრენლანდი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 21.00 | 256 | მოლდე-სტრიომსგოდსეტი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 21.00 | 257 | მოსი-ტრომსიო | 2,0 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 258 | სტაბეკი-ლინი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| | 259 | სტაბეკი-ლინი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 21.00 | 260 | ვიკინგი-სოგნდალი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| | 261 | ვიკინგი-სოგნდალი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |

**ფინეთი**

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 263 | ჰიკ-ინტერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 20.30 | 264 | ლაჰტი-ჯაზი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 265 | როვანიემი-კუოპიო | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 266 | ტამპერე-მიუპა | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 267 | ატლანტისი-ჰაკა | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი**

**20 აგვისტო**

| | | |
|---|---|---|
| 23.30 | 268 | დარლინგტონი-შეფილდი |
| 23.45 | 269 | ჰარლტპული-ნოტინგემი |

**იტალია. სუპერთასი**

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 270 | რომა-ფიორენტინა | 1,5 | 3,5 | 5,3 |

**იტალია. თასი. I ეტაპი**

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 271 | ჯენოა-ტრევიზო | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.30 | 272 | არეცო-ბარი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 273 | კომო-კოზენცა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.30 | 274 | ვენეცია-ასკოლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 275 | სიენა-პალერმო | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 23.30 | 276 | ლივორნო-ნაპოლი | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| 23.30 | 277 | კალიარი-მოდენა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.30 | 278 | ლუმეცანე-რეჯინა | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| 23.30 | 279 | ჩიტადელა-მონცა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 23.30 | 280 | აველინო-სამპდორია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 23.30 | 281 | მესინა-კროტონე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 23.30 | 282 | ვიჩენცა-პესკარა | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| 23.30 | 283 | ტერნანა-პისტოეზე | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.30 | 284 | კიევო-პრატო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 285 | კატანია-ემპოლი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 23.30 | 286 | ანკონა-სალერნიტანა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

**ესპანეთი. სუპერთასი. I მატჩი.**

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 287 | სარაგოსა-რეალი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

**ტურში გატანილი გოლები**

**18 აგვისტო**

18.30 701 გერმანია (მე-4)

24 და ნაკლები – 1,9; 26 და მეტი – 1,9

**18 აგვისტო**

19.00 702 ინგლისი (1-ლი)

25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

**18 აგვისტო**

20.15 703 საფრანგეთი (მე-4)

22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9

**18 აგვისტო**

22.15 704 პორტუგალია (მე-2)

22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9

**18 აგვისტო**

16.00 710 რუსეთი (22-ე)

18 და ნაკლები – 1,9; 20 და მეტი – 1,9

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი;
სტალინის ქუჩა№30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113,
ფიროსმანის ქუჩა №7ა
ძობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39
გურჯაანში — დავით გურამიშვილის ქუჩა №28

1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც მუშაობს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი,

# სიტყვის პატრონი თბილისს ეწვია

## საქართველოში პირველი საერთაშორისო რალი დაიწყო



სერგეი უსპენსკი რალის მთავარი ფავორიტია

**დღეს** დაიწყო საერთაშორისო შეჯიბრი საავტომობილო რალიში — „შევრონი — რალი საქართველო 2001“. მრბოლებმა დიდუბიდან, „ექსპოჯორჯიას“ საგამოფენო კომპლექსიდან აიღეს სტარტი. ეკიპაჟები თანმიმდევრობით გამოდიოდნენ მაყურებელთა წინაშე, მათთვის განკუთვნილ პოდიუმზე ადიოდნენ და რამდენიმე ხანს ფოტო და ტელეკამერების ობიექტივში ხვდებოდნენ. შემდეგ მანქანების დემონსტრირებას ახდენდნენ და უჩინარდებოდნენ.

პირველი პოდიუმზე რუსული ეკიპაჟი გამოჩნდა. რუსეთის ცხრაგზის ჩემპიონმა და „შევრონი — რალი საქართველო 2001“-ის ფავორიტმა სერგეი უსპენსკიმ თანაპილოტ ალექსეი შჩუკინთან ერთად ყველაზე მეტხანს დაჰყო პოდიუმზე. ეს ეკიპაჟი გულშემატკივართა და ჟურნალისტთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. არანაკლები ინტერესით შეხვდნენ ბულგარეთის შერეულ ეკიპაჟს. სტოიან აპოსტოლოვი და მისი მეუღლე ელენა აპოსტოლოვა „ფონდო-სივიკით“ შეეცდებიან რალის მოგებას. აქვე იმასაც დავძენთ, რომ სტოიანს დაახლოებით ორი კვირის წინ ძმა გარდაეცვალა და



დიდუბე, „ექსპო ჯორჯია“ — რალი იქ დაიწყო და იქვე დამთავრდება

მისი თბილისში ჩამოსვლა სათუო იყო, მაგრამ აპოსტოლოვმა სიტყვა არ გადათქვა და საქართველოს ესტუმრა. მესამე ნომრად გამოვიდა საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი და მოქმედი მრბოლი ვიქტორ თოდაძე. ოვაციებით შეხვდნენ იქ მყოფნი ძმები იაშვილების ეკიპაჟის გამოჩენას. მათი „ოპელ კალიბრა-A“ მოხდენილად ავიდა პოდიუმზე და იქიდან არანაკლებ ეფექტურად ჩამოვიდა. როდესაც რალიში მონაწილე ყველა, ცხრამეტივე ეკიპაჟმა სტარტის აუცილებელი პროცედურა მოილია, ავტომრბოლებმა გეზი რუსთავისკენ აიღეს. ჯერ წრიული და მერე წყვილთა რბოლა გაიმართებოდა ავტოდრომზე. მერე რბოლა თბილისის ზღვაზე გადაინაცვლებდა. დღეს რალი თბილისის გადაღმა სოფლებს — სამადლოს, შინდისს, ტაბახმელას მოივლის. მერე ავა კოჯორში და წყნეთში, უწევს ჯვრის მონასტერს და ლისი — მუხათწყაროს, ხვალ კი მრბოლები ფინიშზე მივლენ.

**ბაჩო სვანიძე**

# F 1

**მეცამეტე ეტაპი** **უნგრეთის დიდი პრიზი**

## ჰუნგარორინგი

*ბუდაპეშტი, 19 აგვისტო*



**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . **3.975 კმ**
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . **77 წრე — 306.075 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1. ჰაკინენი (მაკლარენი); 2 მ. შუმახერი (ფერარი); 3 კულჰარდი (მაკლარენი); 4 ბარიკელო (ფერარი); 5 რ. შუმახერი (უილიამსი); 6 ფრენცენი (ჯორდანი)

**წრის რეკორდი:** 1992— მენსელი (უილიამსი) 1:18.308

**ყველა გამარჯვებული**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1986 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | უილიამსი |
| 1987 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | უილიამსი |
| 1988 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1989 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1990 | ტიერი ბუტსენი | ბელგია | უილიამსი |
| 1991 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1992 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1993 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1994 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1995 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1996 | ჟაკ ვილნევი | კანადა | უილიამსი |
| 1997 | ჟაკ ვილნევი | კანადა | უილიამსი |
| 1998 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 1999 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი |
| 2000 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი |

ყოფილი სოციალისტური ბანაკი და მისი ლიდერი საბჭოთა კავშირი ყოველ ნაბიჯზე მიწასთან ასწორებდა ფორმულას, როგორც ადამიანის სიცოცხლის უპირველეს მტერს, მაგრამ მაინც ოცნებობდა, იქ თუნდაც ერთი ეტაპი ჩატარებულიყო. იგი ხომ უზარმაზარი მატერიალური სარგებლის მოტანის წყაროა. ამ საკითხის გადასაწყვეტად მოსკოვში 20 წლის წინ სპეციალურად ჩავიდა „სამეფო რბოლების“ მაშინდელი ბოსი ჟანმარი ბალესტრი და ავტორბოლის ფანატიკურ მოყვარულ გენსეკ ლეონიდ ბრეჟნევს შეხვდა. მაგრამ რუსების სურვილი სურვილად დარჩა, ის გემრიელი ლუკმა კი უნგრეთმა დაითრია.

მადიარებმა, როგორც იტყვიან, თავი მოიქაჩლეს — სულ რაღაც ათ თვეში (!) ბუდაპეშტიდან ოციოდე კილომეტრის მოშორებით სანაქებო ავტოდრომის აგება შეძლეს და 1986 წელს უნგრეთის პირველი დიდი პრიზიც გაათამაშეს.

„ჰუნგარორინგი“ ფორმულის ყველაზე მოკლე და ერთ-ერთი ყველაზე ნელი ტრეკია. იქ საკმაოდ რთული სარბოლო პირობებია. ძრავის სიმძლავრეს იმხელა მნიშვნელობა აღარა აქვს, როგორც ვქვათ, „მონცაზე“ ან „ჰოკენჰაიმრინგზე“, მთავარია ბოლიდის გამძლეობა და პილოტის ოსტატობა.

უნგრული ეტაპი ჩემპიონებისაა — მათ მხოლოდ ერთხელ (1990) „აუშვეს“ პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ჩვეულებრივი მოკვდავი.

„ჰუნგარორინგის“ რეკორდსმენად დღესაც ლეგენდარული აირტონ სენა რჩება — სამი მოგება, ოთხჯერ მეორე ადგილი და ჯამში 53 ქულა. მოქმედ მრბოლთაგან საუკეთესო შედეგი — 29 ქულა მიხაელ შუმახერს აქვს. შემდეგ მოდიან მიკა ჰაკინენი (27), ჟაკ ვილნევი (24), დევიდ კულჰარდი (22), ჟან ალეზი (6) და რუბენს ბარიკელო (6)...

ხვალ შესაძლოა ვადამდე გაირკვეს ჩემპიონის ვინაობა. გამარჯვების, ან ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, თუ კულჰარდზე ოთხი ქულით მეტს დააგროვებს, მიხაელ შუმახერი სეზონის დასრულებამდე ოთხი ეტაპით ადრე გაინაღდებს მეოთხე ტიტულს.

**გია ახალაძე**

REUTERS ბუდაპეშტიდან


დევიდ კულჰარდი თავის „მაკლარენს“ რბოლის წინ ყოველმხრივ სწავლობს

# ტურისტი პროსტში

*ედი ჯორდანმა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი „დიდი ბრიტანეთის გრან პრის“ შემდეგ დაითხოვა გუნდიდან. თუმცა გერმანელი პილოტი დიდი ხნით უმუშევარი არ დარჩენილა. მან მხოლოდ ერთი „გრან პრი“, გერმანიისა გამოტოვა და ხვალ უნგრეთში ისევ მიიღებს რბოლაში მონაწილეობას. ამჯერად 34 წლის ფრენცენი ფრანგული „პროსტის“ საჭეს მიუჯდება ჟან ალეზის ნაცვლად, რომელიც მის ყოფილ გუნდში, „ჯორდანში“ გადავიდა.*

**— როგორ გრძნობთ თავს „პროსტში“?**

— ჯერჯერობით ტურისტივით ვარ, ყველაფერს ვათვალიერებ. გიანკურის ქარხანა და საჯინიბოს სხვა ბაზები ვნახე და საკმაოდ მომეწონა. ამასთანავე ტექნიკურ პერსონალსაც შევხვდი და დავრწმუნდი, რომ მათ მუშაობა არ ეზარებათ, რაც წარმატების მიღწევაში უნდა დამეხმაროს. ერთადერთი, რაც უნგრეთში ოდნავ პრობლემებს მიქმნის, ისაა, რომ ფორმულა 1-ში გატარებული რვა წლის მანძილზე, პირველად გამოვიცვალე გუნდი შუა სეზონში.

**— ეს უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს თქვენს შედეგებზე?**

— ყველაფერს ნულიდან ვიწყებ! კარგად არ ვიცნობ ჩემი ახალი ბოლიდის შესაძლებლობებს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, თანაც რბოლისას რომ უნდა დამეხმარონ, მათთან მუშაობის გამოცდილებაც არ მაქვს. გასულ პარასკევს საფრანგეთში, მანი-კურზე დაახლოებით 50 კილომეტრი ვირბოლე, რაც ბოლიდთან შესაჩვევად ძალიან ცოტაა. ეს მხოლოდ იმისთვის იყო საკმარისი, რომ კოკპიტს მოვრგებოდი. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ პარასკევის თავისუფალი ცდები, რომელთა დროსაც მანქანას შედარებით შევეჩვიე.

**— „პროსტის“ ბოლომდე გასაცნობად წლეულს მხოლოდ ხუთი გრან პრი დაგრჩათ.**

— დიახ... ამასთანავე „მიშლენის“ პნევმატიკურ სისტემასაც უნდა „დავუახლოვდე“, რადგან „ჯორდანი“, „პროსტისგან“ განსხვავებით, „ბრიჯსტოუნის“ საბურავებს იყენებს. თუმცა, მეყო წუწუნი, ამ მანქანას საკმაოდ კარგი მონაცემები აქვს და მათი გამოყენება ჩემზეა დამოკიდებული.

**— საკმაოდ დიდ რისკზე ხომ არ წახვედით გუნდში პირველობის მხრივ? ლუჩანო ბურტს მეტი შანსი აქვს, თქვენზე უკეთესი შედეგი აჩვენოს. „პროსტის“ პირველი პილოტიც ის რომ გახდეს?**

— ასეთ რაღაცეებზე არ ვფიქრობ. ვიცი, ლუჩანო სწრაფი პილოტია და ამ სეზონში ეს არაერთხელ დაამტკიცა. ის ჩემზე უკეთ იცნობს გუნდსაც და ბოლიდსაც, მაგრამ მაჯობებს თუ ვერა, კვირას ვნახავთ.

**— მომავალ სეზონზე რას გვეტყოდით? როგორი გეგმები გაქვთ?**

— მგონი, ამაზე საუბარი ჯერჯერობით ძალიან ადრეა. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ახლა ერთადერთი საფიქრალი მაქვს — რაც შეიძლება კარგად შევეწყო „პროსტის“ საჯინიბოს და რაც შეიძლება უკეთესი შედეგები მოვუტანო მას.

**— თქვენი უთანხმოება ედი ჯორდანთან წარსულს ჩაბარდა?**

— არა. თუმცა ამაზე ლაპარაკი არ მინდა. „დიდი ბრიტანეთის გრან პრის“ შემდეგ ერთი უბრალო ფაქსით გავიგე, რომ სამუშაოდან დათხოვნილი ვიყავი. მგონი, კონტრაქტი ჩვენ სხვადასხვანაირად გვესმის. ამიტომ ახლა მართლმსაჯულების საქმეა მტყუან-მართლის დადგენა. მე კი საკმაოდ იმედიანად ვარ.

**— თქვენ ჟან ალეზის გაუცვალეთ ადგილი. ერთი სიტყვა მის შესახებაც გვითხარით.**

— იგი კარგი მრბოლია და წარმატებას და ბედნიერებას ვუსურვებ!

**თარგმნა გაგი გურულმა**

REUTERS ბუდაპეშტიდან



ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი ახალი ბოლიდით და ახალ ფორმაში

# არაბი, წვიმა, საპნის ოპერა



ჟიუსტინ ენენი

**ინდიანაპოლისი. „ოქროს სერია“**
**ჰარდი. საპრიზო 800 ათასი $**

ბრაზილიიდან ამბავი მოვიდა. გუსტავო კუერტენის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რის საპნის ოპერა, რა საპნის ოპერა, გუგას იქ რა უნდაო. დადიოდა ხმები, თითქოს კუერტენი დაახლოებით იმგვარ ტელესერიალში უნდა გადაეღოთ, რაგვარის ნახვის ბედნიერებაც ულევად გვაქვს. სერიალს „კლონი“ რქმევია და მასში თურმე ბევრი ცნობილი ბრაზილიელი საპნის ვარსკვლავი დასაქმდება, მაგრამ არა კუერტენი, ის თავის საქმეს ინდიანაპოლისში აკეთებს და საფუძვლიანადაც. მერვედფინალში გუგას ხორვატი ივან ლუბიჩიჩი ძნელად, მაგრამ შემოემარცხა, ამ დროს კი მესამედ განთესილმა ლეიტონ ჰიუიტმა საკვირველად წააგო მაროკოელ იუნეს ელ აინაუისთან.

„ცხოვრებაში ასე ცუდად არ მითამაშია — დარცხვენიც შენიშნა ჰიუიტმა — ქარმა დავთრები ამირია და თამაშის რიტმი ვერაფრით დავიჭირე“.

წაგების მეორე არგუმენტად ჰიუიტმა ცინცინატის „მასტერსი“ მოიყვანა, სადაც ნახევარფინალამდე მივიდა და ამას თურმე დაუქანცავს, კიდევ, რაღაც ინფექცია შეჭრია, მოკლედ, მიზეზები ჰქონდა.

არაბისთვის გამარჯვება რევანში იყო, ავსტრალიელმა მას წლევანდელი იუმბლდონის მესამე წრეში მოუგო.

მატჩი არაბის უპირატესობ ით დაიწყო. დასცხო აინაუიმ, მარცხნიდან, მარჯვნიდან მძლავრი ფორჰენდები ურტყა და პირველი სეტი 6:3 მოიგო. მეორე სეტშიც ელ აინაუიმ მოიგო თავის მოწოდება და მერე ბრეიკ-პოინტი გამოიმუშავა. მოკლედ, ბრძოლის იმტაზე იყო და მაინცდამაინც მაშინ კოკისპირულად დაუშვა. 39-წუთიანი ღვართქაფის შემდეგ ჰიუიტი უფრო აზრიანად ათამაშდა და მეორე სეტი ტაი-ბრეიკზე მოიგო.

მაროკოელი სულ არ დაბნეულა, დასკვნით სეტში ისევ თავისი ნების კარნახით ათამაშდა და რომ იტყვიან, დამსახურებულად მოიგო.

**მესამე წრე:** **პატრიკ რაფტერი** (ავსტრალია, 5) — კრისტიან პლესი (დანია) 6:4, 6:4; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — იონას ბორკმანი (შვედეთი) 3:6, 6:3, 7:6(14:12); **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 7:6(7:5), 6:4; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ტომი რობრედო (ესპანეთი, 16) 7:6(7:5), 6:1; **ტიმ ჰენმანი** (დიდი ბრიტანეთი, 6) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:2, 6:1; **გორან ივანიშევიჩი** (ხორვატია, 10) — არნო კლემანი (საფრანგეთი, 7) 7:5, 7:5; **იუნეს ელ აინაუიუი** (მაროკო) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 3) 6:3, 6:7(1:7), 6:3; **ტომას ენკვისტი** (შვედეთი, 8) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი, 9) 6:2, 5:7, 6:1

**ვაშინგტონი. „ოქროს სერია“**
**ჰარდი. საპრიზო 800 ათასი $**

ამერიკის დედაქალაქში რჩეულ ჩოგბურთელთა სიას ანდრე აგასი თავკაცობს. პირველ ნომრად განთესილს გუშინ ლონდონის „დეილი ტელეგრაფიდან“ დაურეკეს და ესაუბრნენ. აგასიმ თქვა, შტეფი გრაფს ხელი ვთხოვე და თანხმობა მომცაო. სახელგანთქმული წყვილი დეკემბერში ბიჭს ელოდება და შვილის კანონიერი მშობლობა აგასის დიახაც უნდა, ხოლო ამ მომენტში ამერიკელმა ორი ტურნირის მანძილზე გაჭიმული კრიზისი დასძლია და ჯაჭვით ვერ აკავებენ.



მარსელო რიოსმა ერთიც მოიგო

მერვედფინალში აგასიმ და ფერნანდო ვისენტემ ითამაშეს. ესპანელი ვერაფრით პასუხობდა ამერიკელის იუველირულ დარტყმებს და 56 წუთში დანებდა. მეოთხედფინალში აგასი და გრეგ რუზეცსი დაეტაკებიან. ინგლისელმა ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტი გააგდო 7:6(8:6), 6:3

რუზეცკიმ აგასისთან შეხვედრის შანსით კმაყოფილება გამოთქვა. ბოლოს ისინი ადრე ზაფხულში, ლოს ანჯელესში შეხვდნენ და აგასიმ მოიგო. სხვებს რაც შეეხებათ, მაიკლ ჩანგი წინ იძვრის. ჩინურძირა ამერიკელ ვეტერანს მერვედფინალის მეტოქედ მე-11 ნომერი გილერმო კანასი ჰყავდა და 3 სეტში მოუგო. გაიმარჯვეს მარსელო რიოსმა და ენდი როდიკმაც.

**მესამე წრე:** **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — გილერმო კანასი (არგენტინა, 11) 7:5, 2:6, 6:4; **ანდრე აგასი** (აშშ, 1) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი, 15) 6:2, 6:2; **მარსელო რიოსი** (ჩილე) — ალექს კორეჩა (ესპანეთი, 2) 7:6(7:2), 6:3; **გრეგ რუზეცკი** (დიდი ბრიტანეთი, 12) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი, 7) 7:6(8:6), 6:3; **ჟერომ გოლმარი** (საფრანგეთი, 16) — ტომი ჰაასი (გერმანია, 3) 6:4, 6:4; **ენდი როდიკი** (აშშ, 9) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:2, 7:5; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი, 4) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:3, 7:5; **სჯენგ შალკენი** (ჰოლანდია, 10) — ჟან მაიკლ გემბილი (აშშ) (არ უთამაშია)

**ტორონტო**
**კანადის ღია პირველობა**
**ჰარდი. საპრიზო 1,2 მილიონი $**

ტორონტოში წვიმდა, არ გადაიღო და მხოლოდ 2 მატჩი შედგა. დანარჩენი მეოთხედფინალები დღეისთვის დანიშნეს.

**მესამე წრე:** **ანკე ჰუბერი** (გერმანია, 14) — ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3) 6:3, 6:3; **ჟუსტინ ენენი** (ბელგია, 2) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:3, 6:2



ბორის ბეკერმა ჩოგბურთი და ტრავმა გაიხსენა

# ბორგმა და ბეკერმა ისტორია დააბრუნეს

**ავსტრიულ** გრაცში საინტერესო პროექტი ხორციელდება, რომელსაც მსოფლიოს ექსპირველ ჩოგანთა ტური ჰქვია. მონაწილეობა შეუძლია ყველას, ვინც ჩოგბურთს მინიმუმ ორი წლის წინ გამოეთხოვა და ერთხელ მაინც ყოფილა რეიტინგების სათავეში. ბიორნ ბორგსა და ბორის ბეკერზე კი მეტიც ითქმის, ისინი არამცთუ დიდხანს თავობდნენ რეიტინგებს, არამედ ჩოგბურთის ლეგენდებად ითვლებიან. ბორგი იმიტომ, რომ უიმბლდონს 5 წელი ზედიზედ იგებდა (1976-80 წლებში) და ბეკერი იქვე ჩემპიონი გახდა 1985 წელს, როცა ტუჩებზე რძე არ შეშრობოდა. მისი 17 წელი უიმბლდონის ყველაზე ნორჩი ჩემპიონის სინონიმია.

ასეთი დიდი ჩოგბურთელები იდგნენ გრაცში კორტის სხვადასხვა მხარეს. ბორგი მობერებულა (ფოტო იხილეთ), მაგრამ ჩოგანს ენერგიულად კი სცემდა.

თუმცა უფრო ახალგაზრდა ბეკერმა პირველი სეტი თავის უპირატესობით ჩაამთავრა — 6:3, ხოლო მეორეში შვედმა ვეტერანმა იმდენად მოუმატა, რომ 3:2 დაწინაურდა. ამ მომენტში ბეკერმა თეძო იტკინა და თამაშიც შეწყდა. მთავარი მაინც ისაა, რომ მატჩი შედგა — ბიორნ ბორგსა და ბორის ბეკერს დიდი ჩოგბურთი ერთმანეთთან არასდროს უთამაშიათ.

**დავით გულუა**



ბიორნ ბორგი: კაცი-ლეგენდა



# რუსები ჩხუბობენ, სხვები ჩქარობენ

**2002 წლის** ზამთრის ოლიმპიადამდე ნახევარი წელი რჩება. ჰოკეისტთა შეჯიბრი ოლიმპიური პროგრამის მთავარი მოვლენა იქნება, ამიტომ წამყვანი ქვეყნების სატურნირო სამზადისი საყოველთაო ინტერესს იწვევს.

დღესდღეობით ყველა გრანდი სერიოზულად და გეგმაზომიერად ემზადება ოლიმპიადისთვის. ცნობილია მწვრთნელთა ვინაობა, შეკრებების ვადები და, რაც ყველაზე მთავარია, ოლიმპიელთა სავარაუდო შემადგენლობა.

ყველაზე მეტად ამერიკელები აქტიურობენ. ოლიმპიადის მასპინძლები არ მალავენ სოლტ ლეიკ სიტიში სწორედ ჰოკეისტთა ტურნირის მოგებას ისახავენ უმთავრეს მიზნად, ამიტომ უკვე დაასახელეს ის 15 ჰოკეისტი, რომლებიც ქვეყნის ღირსებას დაიცავენ. მანამდე ცნობილ 12 მოთამაშეს, რომელთა სიაც აშშ-ში ნაკრების მესვეურებმა დადგენილი ვადისთვის გამოაქვეყნეს, ახლახან სამი მიემატა. ერთი მათგანი ნეშვილის მეკარე მაი დანჰემია, ხოლო დანარჩენი ორი — ვეტერანი მცველები კრის ჩელიოსი (დეტროიტი) და გერი სუტერი (სან ხოსე).

ორ უკანასკნელს ჰოკეის ქომაგები საკმაოდ კარგად იცნობენ. ჩელიოსი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია, 1996 წელს სუტერთან ერთად მსოფლიოს თასი მოუგია და ოლიმპიადებზეც მესამედ იღებს მონაწილეობას. აი, დანჰემი კი შედარებით ახალი სახელია, თუმცა მას 1994 წლის ოლიმპიადაზე უთამაშია. სხვა მეკარეები ამერიკელებს ჯერ არ დაუსახელებიათ. 4-7 სექტემბერს ნაკრები საწვრთნელ შეკრებას გამართავს, რომელსაც ყველა, თხუთმეტივე ჰოკეისტი გაივლის.

შეგახსენებთ აშშ-ის ნაკრების დანარჩენი 12 წევრის ვინაობას: მცველები — ბრაიან რაფალსკი, ბრაიან ლიჩი, ფორვარდები — ტონი ამონტე, კრის დრური, ბილ გერინი, ბრეტ ჰალი, ჯონ დეკლერი, მაიკ მოდანო, ჯერემი რენიკი, კეიტ ტკაჩუკი, დუგ უეიტი, სკოტ იანგი.

სამი მოთამაშე შემატეს თავიანთ შემადგენლობას შვედებმაც. ესენი არიან ვეტერანი მცველი კალე იუჰანსონი (ვაშინგტონი) და ფორვარდები — პერ-იუჰან აქსელსონი (ბოსტონი) და ნიკლას სუნდსტრიომი (სან ხოსე). აქედან ყველაზე ცნობილი იუჰანსონი გახლავთ, რომელსაც არაერთხელ უთამაშია შვედეთის ეროვნულ ნაკრებში. ის კი არა, წლების განმავლობაში „ვიკინგთა“ კაპიტანიც ყოფილა. შვედთა სხვა რჩეულები კი არიან: მეკარე ტომი სალო, მცველები — ნიკლას ლიდსტრიომი, მატიას ელუნდი, მატიას ნორსტრიომი, ფორვარდები — პეტერ ფორსბერგი, მატს სუნდინი, მიქაელ რენბერგი, დანიელ ალფრედსონი, მარკუს ნესლუნდი და იორგენ იონსონი. ამით სკანდინაველ ოლიმპიელთა რაოდენობამ ცამეტს მიაღწია.

აშშ-ისა და შვედეთისგან განსხვავებით, კანადამ, ჩეხეთმა და ფინეთმა გაფართოებული სიები წარადგინეს და სწორედ მათგან შეარჩევენ საოლიმპიადედ საუკეთესოებს. მოგეხსენებათ, საბოლოო განაცხადში 23 მოთამაშე უნდა იყოს.

კანადელებმა, რომლებიც ასევე 4-7 სექტემბერს შეიკრიბებიან, 34 მოთამაშის ვინაობა ამცნეს ჰოკეის სამყაროს. ესენი ყველა სახელიანი და გამოცდილი. მარტო მეკარეთა ოთხეული — პატრიკ რუა, კერტის ჯოზეფი, მარტინ ბროდო და ედ ბელფორი რად ღირს. დანარჩენი რგოლებიც ამ პრინციპით შეირჩა, თუმცა რამდენიმე ახალი სახელიც გამოჩნდა. მაგალითად, მცველები — ერიკ ბრიუერი (ედმონტონი), დერეკ მორისი (კალგარი), უეიდ რედენი (ოტავა), ფორვარდები — ენსონ კარტერი (ედმონტონი), მაიკ მოროუ (დალასი) და სიმონ განიე (ფილადელფია). გაფართოებულ სიაში ერიკ ლინდროსიც არის, რომელიც დღემდე უგუნდოდაა და რომლის ნჰლ-ური კარიერა ჯერაც საჭოჭმანოა.

კანადის ნაკრებში ადგილი ჯერჯერობით რვა მოთამაშემ გაინაღდა: მცველები — რობ ბლეიკი, კრის პრონგერი, სკოტ ნიდერმაიერი, ფორვარდები — პოლ კარია, ჯო საკიკი, სტივ აიზერმანი, ოუენ ნოლანი, მარიო ლემიე სოლტ ლეიკში აუცილებლად წავლენ.

ყველაზე დიდი მონდომებით ჩეხები ემზადებიან. საკმარისია ითქვას, რომ 37 დასახელებული კანდიდატიდან ლამის მესამედი „იაგრ თიმის“ სახელით უკვე დიდი ხანია, ჩეხეთში ერთად ვარჯიშობს, ამ დღეებში კი მოსკოვსაც ეწვია, სადაც „რუსეთის ვარსკვლავებს“ ეთამაშა.

3 და 4 აგვისტოს თავისი 41 კანდიდატი შეკრიბა ფინელთა თავკაცმა ჰანუ არავირტამ. თუმცა, როგორც თავად მწვრთნელმა აღნიშნა, მას მოთამაშეთა ფსიქოლოგიური მზადყოფნა უფრო აინტერესებდა, ამიტომ ფინელებს ყინულზე ჯერ არ უვარჯიშიათ. მათ ჯერჯერობით მხოლოდ 8 ჰოკეისტი დაასახელეს: მცველები — ტეპო ნუმინენი, იანე ნიინიმა, კიმო ტიმონენი, ფორვარდები — ტეემუ სელიანე, საკუ კოივუ, იერე ლეჰტინენი, იუჰა ილინენი და სამი კაპანენი. დანარჩენი 33-დან კი, პირველ ყოვლისა, რაიმო ჰელმინენს გამოვყოფთ. ეს ვეტერანი ჰოკეისტი ფინეთის ნაკრების ღირსებას 1984 წლიდან იცავს.

ყველაზე გაურკვეველი სიტუაცია კი, როგორც ყოველთვის, რუსთა ბანაკშია. მიუხედავად იმისა, რომ არსებული კონტრაქტის თანახმად ნაკრების თავკაცის ბორის მიხაილოვის კანდიდატურა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ჭირვეული ლიდერები, მათ შორის პაველ ბურე და ოლეგ ტვერდოვსკი, წყალს ამღვრევენ. მათ მწვრთნელის პოსტზე მხოლოდ ვიაჩესლავ ფეტისოვის ხილვა სურთ, რაც საკმაოდ ამძაფრებს ვითარებას. თუმცა რუსული ჰოკეის მამები ირწმუნებიან, რომ სულ მალე ყველაფერი გაცხადდება. მოგეხსენებათ, რუსებმაც ჯერ მხოლოდ 8 ოლიმპიელი დაასახელეს: მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი, მცველები — დარიუს კასპარაიტისი, სერგეი ზუბოვი, დმიტრი იუშკევიჩი, ოლეგ ტვერდოვსკი, ფორვარდები — პაველ ბურე, ალექსეი იაშინი და ალექსეი კოვალიოვი.

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოტაც და...



REUTERS პეკინიდან

სამი დღეც და პეკინში მსოფლიოს სტუდენტთა თამაშები გაიხსნება. ჩინეთის დედაქალაქი უნივერსიადის მასპინძლობას 2008 წლის ოლიმპიადის ერთგვარ რეპეტიციად განიხილავს და სტუდენტთა სპორტული სოფლისა და 80 ათასადგილიანი მუშათა სტადიონის ასაშენებლად 120 მილიონი დოლარი დახარჯა. ჩინური მილიცია მზადაა, სპორტსმენები კი ნელ-ნელა იყრიან თავს პეკინში. სპორტულ სოფელში მექსიკელი სპორტსმენები წამოგორებულან მოლზე, მათ უკან კი უნივერსიადის სიმბოლო, მდინარე იანძის პატარა ალიგატორი ხითხითებს.



REUTERS პეკინიდან

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

IV ტური

შვაინფურტი 1:0 არმინია

როიტლინგენი 0:1 ფიურტი

ობერჰაუზენი 0:2 უნტერჰახინგი

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

IV ტური

გრენობლი 1:0 სენტ ეტიენი

## ჰოლანდია

პირველი დივიზიონი

I ტური

ტვენტე 1:0 ვალვაიკი

## შვეიცარია

A ჯგუფი

VIII ტური

იანგ ბოისი 2:0 ძსამაძსი

## თურქეთი

II ტური

ბურსასპორი 2:2 ბეშიქთაში

## ბელგია

პირველი დივიზიონი

II ტური

მუსკრონი 0:1 გენტი

## დანია

V ტური

კოპენჰაგენი 0:2 აკადემისკი

## პოლონეთი

A ჯგუფი

V ტური

ვისლა 1:0 ოდრა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია

II წრე. A ჯგუფი. I ტური

საუდის არაბეთი 1:1 ბაჰრეინი

ერაყი 4:0 ტაილანდი

II წრე. B ჯგუფი. I ტური

საამიროები 4:1 უზბეკეთი

# ცერი ცხვირთან

სამხრეთ აფრიკაში, ჯეფრის ბეიში გრძელდება მსოფლიოს პირველობა გრძელი, ცხრაფუტა სერფით ტალღებზე სრიალში. ამ სურათზე ხედავთ 48 მონაწილიდან ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულს, ჰავაელ პროფესიონალს, დუეინ დესოტოს, რომელიც განთქმულ ილეთს „ცერი ცხვირთან“ ასრულებს.





REUTERS კოჩრეინიდან

# კაპოტი-ლოჟა

მავანი ტომ ჰენგერი თავისი მანქანის კაპოტზე წამოგორებულა და ცაში მოტოციკლეტით მფრენ ძმაკაცს, ბო ვიდალს ადევნებს თვალს. ამ კანადელ ბიჭებს, კოჩრეინში რომ ცხოვრობენ, წესად ჰქონიათ გრაველის ბორცვებზე იქროლიონ რკინის ცხენებით და ბორცვიდან ბორცვზე მოხდენილად გადაფრინდნენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოვრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge